

103

"/ 18. გვერდი 11"

1. 920

12216.

11. 18. 92.

ექიმი ილანნე გოგოაშვილი თავის  
„ზოგებს ხშირად უკოტევოს”

35028

გაგრძელება 1905 წლის პასუხისა

ღმ. ღ. ღამბაშიძის გან



ქვირილა

„მწყემსი“-ს რედაქციის სრამბა (ღვკ. ღ. ღამბაშიძისა)  
1909



ეძიმი იოანე გომართვლი და შიდა მსჯალო-  
ბა, თუ „რა გზას უდია დაადგის სამღვდე-  
ლოება?“

უბედურობაა. როდესაც მზარეული  
ხარაზობას დაიწყებს და ხარაზი მზა-  
რეულობას.

ბევრი სტატიები წაგვიკითხავს საერო წოდე-  
ბის ჟურნალ-გაზეთებში სამღვდელოების შესახებ  
ცრუ, უსაფუძვლო და უაჯაო აზრებით სავსე,  
მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, ვინაიდგან  
ამისთანა სტატიების ავტორები ღობე-ყორეს ეფა-  
რებიან და თავის ვინაობას არ აცხადებენ. მკითხ-  
ველი საზოგადოებაც ბევრი უყურადღებოდ სტო-  
ვებს ამისთანა სტატიებს. ჩვენც სწორეთ არავითარ  
ყურადღებას არ მივაქცევდით ეჭიმი იოანნე გო-  
მართელის ზემო ხსენებულ სტატიას, რომელიც  
მან „ივერი“.ის მე-130 ნომერში მოათავსა. მაგრამ  
ეჭიმს იოანნე გომართელს ჩვენში გლეხობა ისე  
ადიდებს და თაყვანს სცემს როგორც იოანნე

კრონშტატელს. იოანნე გომართელსაც ისეთ სასა-  
წაულებრივ ექიმობას მიაწერენ სხვა და სხვა მძიმე  
და მოურჩენელ სნეულებისას როგორც იოანნე  
კრონშტატელს. რამდენს შეხვდებით ჩვენში, რო-  
მელნიც მოგიყვებიან: ბატონო, ექიმი იოანე გო-  
მართელი ან კესზე პატარა დარგვალებულ პურს  
წამოაგებს. გადააყლაპებს თურმე ავაღმყოფს, რო-  
მელსაც კუჭში ან წელებში კიბო აქვს. ან კესის  
ძაფი ხელში უკავია და უცბათ ცოცხალ კიბოს  
ერთი თვალის დახამხამებაზე ამოილებს და აგდებს  
ტაშტში! ვისაც თავის ტკივილი აქვს მას თავის ჭალას  
გაუხსნის და ბაყაყს ამოაცლის და ავაღმყოფი რჩე-  
ბა... ასე სასწაულებრივ არჩენს „კიბოს“ და თავის  
ტკივილს, რომელიც სხვა ექიმებმა ვერ შესძლეს.  
ერთი სიტყვით იოანნე გომართელი ჩვენში ისეთ  
სასწაულთმოქმედად მიაჩნიათ როგორც იოანნე  
კრონშტატელი რუსეთში...

ერთხელ ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და იოანე  
კრონშტატელის ადრესი მომთხოვა; მან გამიცხადა:  
ხუთი მანეთი მინდა გაუგზავნო იქნება ფეხი მო-  
მირჩინოსო. ამ კაცს ცალი ფეხი მუხლში ჰქონდა  
მოჭრილი. მე უთხარი ამ კაცს, რომ იოანე  
კრონშტატელი მაგისთანა კაცებს არ არჩენს მეთქი,  
მაგრამ არ დამიჯერა. ბევრი ველაპარაკე ზოგიერ-  
თებს, რომ იოანნე გომართელს კიბოს მორჩენა  
ან კესით არ შეუძლია მეთქი, მაგრამ არ დაიჯერეს,

მთელი ქვეყანა ამას აშტკიცებსო, ამბობენ...

ფოანნე კრონშტატელმა გამოაცხადა სახალხოდ, რომ მე სასწაულების ჩადენა არ შემიძლიაოდა თუ თავისი ლოცვით რჩებიან, მათი სარწმუნოებით რჩებიანო. მაგრამ ითანა გომართელი ჯერეთ არ აპირობს იმის უარ-ყოფას რასაც მას ამაოდ მორწმუნე ხალხი მიაწერს!..

რასაკვირველია, ამისთანა სასწაულთ-მომქმედის ექიმის სტატიას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში და ამისათვის იძულებული ვართ მის სტატიის გამო «რა გზას უნდა დაადგას სამღვდელოება» ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ და დაუმტკიცოთ გომართელის თაყვანის მცემლებს ამ სტატიის უსაფუძვლობა და არიაობა. რომ ერთი და იგივე სიტყვები არ შეგხვდეს გასამეორებლად და რომ მკითხველს აშკარად დავანახვოთ გომართელის სტატიის ცრუობა, უსაფუძვლობა. დი უაჯაობა. მოვიყვანთ პირველად მის სიტყვებს და იქვე გავცემთ პასუხს.

აი ბ. ექიმი გომართელის სტატია:

«გამდიდრებული და გალაღებული ბატონები, ასე იწყებს „სასწაულთ-მომქმედი“ ბატონი ითანნე გომართელი თავის შესანიშნავ სტატიას, „ფუფუნებაში, ქეიფეა და სრულს განცხრომაში. ატარებენ თავის სიცოცხლეს; ოღონდ კი რამე მონატრებოდა მათ გულსა და, მილიონებიც რომ დახარჯუ-

ლიყო ამისათვის, მათს შეძლებას ამით არაფერი  
დაკლდებოდა. ხალხი კი, დამონავებული, დაბე-  
ჩავებული, ხალხი მძიმე ტვირთ-ქვეშ კვნესოდა,  
კვნესაში ატარებდა თავის სიცოცხლეს, რომელიც  
თავიდან ბოლომდე მხოლოდ მონობის, ტანჯვისა  
და სილატაკის ჯაჭვს წარმოადგენდა.“

«ამ დროს გაისმა დიდებულ მქალაგებლის  
დიდებული სიტყვები: მოდით ჩემთან, ყველა ტან-  
ჯულნო და დაჩაგრულნო, და მე მოგიფონებთო.  
ეს ხმა, ეს ქადაგება ჩვეულებრივი არ იყო. ტან-  
ჯულ ხალხს არასოდეს არ ენახა ამგვარი მქალაგე-  
ბელი, არაოდეს არ გაეგონა ასეთი ხმა, არასოდეს  
არ მოესმინა ამგვარი სიტყვები: ტანჯულებო და  
ჩაგრულნო, ჩემს გარშემო შემოიკრიბენითო, და  
ტანჯულებმაც იწყეს გრიალი მქალაგებლისაკენ;  
მსმენელთა რიცხვი დღითი დღე მრავლდებოდა.  
ის ქადაგებდა, რომ ქვეყანა ჯოჯოხეთი იყო,  
ცხოვრება გახრწნილი და ბოროტებით სავსე. ის  
ქადაგებდა: ქვეყნად ადამიანთა ბედნიერებისათვის  
საჭიროა სამოთხის დაარსება, და სამოთხე მხოლოდ  
მაშინ დამყარდება, თუ ყველა მაშვრალნი და  
ტვირთ-მძიმენი შეიკრიბებიან, შეერთდებიან; შეი-  
ყვარებენ ერთმანეთს და ცხოვრებას გასწმენდენო.„

«ბატონები, დამჩაგვრელები, ხალხის მტრები  
შეძრწუნდნენ: ჩვენ ბატონობას ბოლო შოელება,

თუ მართლა ყველა ტანჯულ-ჩაგრულნი შეერთდნენ  
და შეგნებით აღიჭურვენოთ — შეიპყრეს მქადაგებე-  
ლი და მოჰკლეს. მაგრამ მქადაგებელმა დასტოვა  
მოწაფეები, მათ იმედი ჭქონდა, რომ იმის დაწყე-  
ბულ საქმეს სხვები განაგრძობდნენ და, როცა  
იქნებოდა, დამყარდებოდა, ქვეყნად სამოთხე.»

„ვის უნდა განეგრძო მქადაგებლის-მიერ დაწ-  
ყებული საქმე?“

ვის და — ვინც ამ საქმის გაგრძელება კისრად  
იდვა, თავის პირდაპირ მოვალეობად გაიხადა. ეს  
იყო — სამლელელოება. სამლელელოება უნდა ყოფი-  
ლიყო მფარველი და პირველი მოსარჩევ ყველა  
დაჩაგრულისა და ტანჯულისა, სამლელელოებას  
უნდა შეეკრიბა ხალხის დაჩაგრული ნაწილი,  
ამოდგომოდა მას გვერდში, გადაექცია ის გაერ-  
თიანებულ, შეგნებულ რაზმად და დაემყარებინა  
ქვეყნად ის სამოთხე, რომლისკენაც იწვევდა ხალხს  
მქადაგებელი.»

ჩვენი სასწაულთ მომქმედი ექიმი იოანნე გო-  
მართელი, როგორც ეტყობა, ძლიერ კოქლობს  
სახარების ცოდნაში. იესო ქრისტესაგან ნათქვამი  
სიტყვებიც ვერ მოიყვანა მარდლად. იესო ქრისტემ  
სთქვა; „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და  
ტვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ“. „აიღეთ  
უღელი ჩემი თქვენზედა, და ისწავეთ ჩემგან: რა-  
მეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰქოვოთ

განსვენება სულთა თქვენთა". სად არის აქ სიტყვები: მოდით ჩემთან თქვენ ტანჯულნო და ჩაგრულნო და „მე მოგიფონებო“? განა შეუძლია გომართელს სახარების სიტყვების განმარტება?! მაგრამ ამპარტავნება არ აძლევს ნებას, რადგან ყოლისფრის მცოდნედ აღიარებს თავს...

არსად არ უთქვამს ქრისტეს, რომ იგი მოვიდა ქვეყნად მხოლოდ მისთვის, რომ ქვეყანაზე დაემყარებინა სამოთხე. ვერ დაგვისახელებს ბ. გომართელი ვერც ერთ კაცს ქვეყანაზე, რომ სამოთხე ენახოს და გარდაცვალების დროს ეთქვას კმაყოფილი ვარო თავის ცხოვრებითო. თითონ ბ. გომართელი, რომელსაც დიდი შესავალი აქვს ექიმობით, სამოთხეს ვერ ნახავს ამ ქვეყანაზე...

ბ-ნ გომართელს არ სცოდნია თუ ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც ქრისტემ დაავალა სახარებისა და მისი სწავლა-მოძღვრების გავრცელება და გომართელისებურად „სამოთხის დაარსება“? არ სცოდნია, რომ ქრისტემ სწავლა-მოძღვრების გავრცელება სამღვდელოებას კი არ ჩააბარა დიდმა მქადაგეაელმა, არამედ მოციქულებს. არ სცოდნია, ისიც, რომ ამ მოციქულებმა მტკიცედ აასრულეს მრსი დაბარება ყველამ სიცოცხლე შესწირა ამ ქადაგებას და წამებით აღსრულდნენ. ბოლოს ყოველივე დევნა მოციქულების შემდეგ სამღვდელოე-

ბას შეხვდა. ვერ მოსთვლის კაცი მღღველ-მოწა-  
მეთა და მქადაგებელთა წამებულთ რიცხვს მოცი-  
ქულების შემდეგ სამიურთხი საუკუნის განმავლო-  
ბაში. მაგრამ გომართელს მარც ნიმდაგ ეჩვენება,  
რომ ეს სამღვდელოება დასკუპებული იყო ხალ-  
ხის კისერზე და ხალხის უბედური ცხოვრებით  
კეთილდღეობდნენ! საკვირველია, რომ დღეს მღვდ-  
ლები, რომელნიც წელიწადში ოც თუმნამდის  
იღებენ სარჩოს, ხალხის კისერზე დასკუპებულად  
მიაჩნია და თითონ ბ. გომართელი და მისი ზო-  
გიერთი კოლლეგები დღეში ხუთი თუმნიდან  
ასს მანეთამდის რომ იღებენ ავაღმყოფებისაგან,  
რომელთაც ხშირად თავის უცოდინარობით ამ  
წუთი-სოფელსაც გამოათხოვებენ ხოლმე, თავიანთ  
თავს ხალხის გულშემატკივრათ და შემბრალედ  
რაცხვენ! სად არის ლოლიკა ამ კაცებისათვის?..

მოვისმინოთ ქვევით, სასწაულთ მომქმედის  
ითანე გომართელის ეპისტოლე:

„როგორ მოიქცა სამღვდელოება ნამდვილად?“  
„ხალხი თანდათან გროვდებოდა, თანდათან ერთ-  
დებოდა, სამღვდელოებას ამით ძალა და გავლენა  
ემატებოდა და, როდესაც მან საკმაოდ მოიპოვა  
ძალა, თავის თავი ბატონად გამოაცხადა და იმ ხალხს,  
რომელიც მას უნდა გაენთავისუფლებინა მონობის  
მძიმე ტვირთისაგან, თვითონვე დაჯდა კისერზე.  
იმ ტანჯულებსა და ჩაგრულებს, რომლისთვისაც

მას უნდა მოეპოებინა სიხარული და ბეჭნიერება, თვითონვე დაუწყო ტანჯვა და წვალება; იმ დამ- ჩაგვრელებს, რომელთა წინააღმდეგაც მას უნდა წაეყვანა ხალხი, თვითონვე ამოუდგა გვერდში და დაუწყო სასტიკად დევნა ყველა მათ, ვინც ხალხის შეგნებას, ხალხის კეთილ-დღეობას ემსახურებოდა. ამით სამღვდელოებამ თვითონვე ჰკრა ხელი იმ სამოთხეს, რომლის დასამყარებლადაც შრომა და მოქმედება მას მქადაგებელმა უანდერძა, თვითონვე დაემონავა ეშმაკს და შეუწყო ხელი ქვეყნად ჯო- ჯოხეთის განმტკიცებას. სამღვდელოებამ ევროპაში ყველაფერი თავის ხელში ჩაიგდო, ყველაფერზე გაბატონდა; ხალხის განათლება, ხალხის შეგნება, ცხოვრების წინმსვლელობა სრულებით შეაფერხა; ყოველგვარ თავისუფლებას, როგორც აზრისას, ისე მოქმედებისას, ისეთი ბორკილები დაადვა, როგორიც მანამდე სიზმრადაც კი არავის ზმანე- ბოდა; ისე დაიმონავა ყველა, რომ მეფეებიც კი ძრწოდნენ შიშით.“

ეხლა ცხადად შევიტყვეთ რომ ჩვენ შესანიშ- ნავ მედიცინის დოქტორს, დოსტაქარს, აკუშორს, ცხვირისა, ყურისა და თვალების სპიციალურ ექიმს და ლვისმეტყველების მშვენივრად მცოდნეს გო- მართელს სახეში ყოლებია ევროპის სამღვდელოება და იქაური მეფეები და პროლეტარები, გლეხობა!.. აშკარად სჩანს, რომ უცხოეთში დაბეჭდილი ძველი

ბროშიურებიდან ამოუქექია და იმას, სწერს ჩვენს  
სამლელელოებაზე რაც ფრანგებისა და ისპანელების  
სამლელელოებაზე დაწერილი ყოფილა ოდესმე!..

ხომ დასტკბით. მკითხველო, სასწაულთ-მომქ-  
მედის ითანა გომართელის საუცხოვო აზრებით.  
ვინ წარმოიგენს, რომ ამაგბს სწერს უნივერსიტე-  
ტის კურს დამთავრებული! რომ ხელი არ ქონდეს  
მოწერილი სტატიას, ვინ არ იფიქრებს. რომ ეს  
სტატია დაწერილია დაბალი კლასის მოწაფისაგან  
და არა გომართლისაგან! როდესაც ამ სტატიას  
სწერდა ბ. გომართელი სახეში ჰქონდა ალბალ სა-  
ქადთველო და ქართველი სამლელოება. აბა  
დაგვისახელოს ბ-ნმა გომართელმა ის დაჩაგვრა და  
მეფეების დატუკსვა, რომელიც ქართველი სამლე-  
ლოებისაგან აღგა ხალხს და ან ქართველ მეფე-  
ებს. ქართველი სამლელოება რა დამნაშავეა იმა-  
ში თუ ევროპაში სისაძაგლე ჩაიდინეს პაპებმა და  
მათმა სამლელოებამ?..

როდეს იყო ძლიერი ქართველები: წინეთ  
როცა ხალხი და სამლელოება ერთად იყვნენ თუ  
დღეს, როცა რამდენიმე პირები მაცადინობენ ხალხს  
შეაძლონ სამლელოება. და საზოგადოებაში ასტე-  
ხონ ხალხის დამლუპველი პარტიობა? ნუ თუ ბ. გომარ-  
თელმა ისიც არ იცის, რომ ქრისტიანობის გავრცელე-  
ბის შემდე გავრცელდა ქვეყანაზე განათლება? ნუ თუ  
გომართელმა არ იცის, რომ ქრისტიანობა ამერი-

კის, ინჯლისელების და არც ერთი განათლებული სახელმწიფოსათვის პროგრესიული წინ მსვლელობა და განათლების გავრცელება არ დაუბრკოლებია?\*)  
ბ. იმანნე გომართელო! ილაპარაკეთ და სწერეთ ჩვენ საქართველოზე და ჩვენ სამღვდელოებაზე. ევროპის საზოგადოებაზე და სამღვდელოებაზე ნუ სწუხდებით. ევროპის ხალხმა თქვენი არსებობა არ იცის და არც თქვენს აზრს საჭიროებს. თქვენ ჩვენზე სწერეთ, მაგრამ სწერეთ სიმართლე და ყოველი ნათქვამი ფაქტით დამტკიცეთ, თორემ, რომ მოდგეთ და სწეროთ სამღვდელოება სამრევლოს კისერზე დასკუპებულაო, — არავინ დაგიჯერებს სულელებს გარდა.

ბ. გომართელს ალბად რალაცა სამასხარო სურათს რომ დაატარებდენ აგერ წინეთ ის უნა-

\*) ბ. გომართელი და მისი კამპანია ურჩევდენ ხალხს, რომ საეკკლესიო მიწები მოეთხოვათ. პირველად ვერ გავიგეთ სად იყო ეს საეკკლესიო თავისუფალი მიწები ჩვენში და რა საფუძვლით თხოვილობდენ მას რაც არ ყოფილა. ბოლოს შევიტყვე, რომ ეს ჩვენი შესანიშნავი რეფორმატორები თურმე ფრანგული ძველი წიგნაკებით სარგებლობდენ და წერდენ საეკკლესიო მიწების გლეხებზე გარდაცემას. საფრანგეთში ჰქონდა საფუძველი ამის წერას, მაგრამ ჩვენში კი რა მო. გახსენო! საფრანგეთში თითო ეკკლესიას დიდი ადგილები დაურიგეს მაგრამ ჩვეაში განა შეიძლებოდა ამაზე წერა, როცა სასაფლაო ადგილიც არა აქვს ჩვენს ეკკლესიებს!?

ხავს და დარწმუნებულა, რომ მღვდლები ხალხის კისერზეა მართლა დამდგარიო, მომდგარა და სწერს ამ კარიკატურის გამო და ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებს როგორც დამთვრალი კაცი და გიჟი. დაახასიათეთ როგორ ემსახურება სამღვდელოება. ბიუროკრატიას? რით ჩაგრავს ხალხს? რით უწყობს ხელს ბიუროკრატიას და რით ყავს დამონებული ხალხი? არ არის საკმაო გიჟივით და მთვრალ კაცივით გაიმეოროთ ერთი და იგრვე ათასჯერ განუშარტებლად და აუხსნელად...

მოვცივანოთ კიდევ ბ. გ—ელის სიბრძნიდან:

„ყოველგვარ ძალმომრეობას, ყოველგვარ უსამართლობას, ადრე თუ გვიან, მოელება ხოლმე ბოლო. სამღვდელოებამაც დაპკარგა ნელ-ნელა თავისი ძალა და გავლენა,—ის თან და თან დასუსტდა, მაგრამ ხალხი მაინც არ განთავისუფლებულა,—ტანჯულებს და ჩაგრულებს სხვა ბატონი დააჯდა კიცერზე, სამღვდელოების ნაცვლად. ეს დრო საუკეთესო დრო იყო, რომ სამღვდელოებას თავისი შეცდომა შეეგნო, თავისი დანაშაული თითონვე გაესწიორებინა და ისევე ხალხს ამოსდგომიდა გვერდში, მაგრამ ბატონობას შეჩვეულმა სამღვდელოებამ ისევე ახალ ბატონს მიმართა. მან იფიქრა: ბატონი თუ აღარ ვიქნები დლეიიდან, ბატონის გვერდით მაინც დავბინავდები და ბატონის წყალობას დავიმსახურებო. სამღვდელოება მტკა-

ცელ დაადგა ამ გზას. მან უარჸყო ხალხი და  
შეუდგა ბატონის სამსახურს. რადგანაც ბატონისა  
და ხალხის ინტერესი ძირიანად ეწინააღმდეგება  
ერთი-მეორეს, სამლვდელოებაც მთელის თავის  
მოქმედებით ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ტანჯუ-  
ლისა და დაჩაგრულის ხალხის განთავისუფლებასა  
და კეთილდღეობას.“\*)

„ამ გზას ადგია სამლვდელოება. ის მონაა  
ბიუროკრატისა და მისი მარჯვენა ხელი, ის ასრუ-  
ლებს ბიუროკრატის ყველა მდაბალ სურვილებს;  
ბიუროკრატისთან ერთად ის წინ ელობება ხალ-  
ხის გამოფხიზლებას, ხალხის შეგნებას, ხალხის  
განთავისუფლებასა და კეთილ დღეობას. სამლვდე-  
ლოების ისტორია გულსაკლავი ისტორიაა. სამლვ-  
დელოება ატარებს სახელს უდიდეს მქადაგებლისას,  
თითქო მისი მიმდევარია, ნამდვილად კი მთელის  
თავის მოქმედებით სამლვდელოება უარჸყოფს ყვე-  
ლა იმ აზრებს, რომელსაც მქადაგებელი ტანჯულ  
ხალხის საკეთილდღეოდ ჰქადაგებდა. ხალხი გა-  
მოფხიზლდა, თვალები გაახილა, დაინახა ყოველივე  
ეს, გადაუდგა სამლვდელოებას და ის თავის მტრად  
გამოაკხადა. სამლვდელოება შეშინდა, ის ხსნას  
ელის. სად არის სამლვდელოების ხსნა?“

\*) როგორც სჩანს ბ, გომართელი რსევე უცხოეთის  
ძველი წიგნაკებიდან ქექავს აქ მოყვანილ აზრებს. მაგრამ  
ვგინებ თვითონაც არ იცის ვისთვის და რისთვის სწერს?..  
განა შეიძლება ესეები სთქვას კაცმა ჩვენს სამლვდელოებაზე?..

სრულებით ტყუილს ბრძანებს, პ. გომართელი,  
რომ „ხალხი გამოფხიზლდა და უარ-ჰყო სამღვდე-  
ლოება, ვინაიდგან სამღვდელოებამ უარი-ჰყო  
სახარების მცნებასაო. დიდი უმრავლესობა ისევე  
ძველებურად, ჩვენებურად პატივსა სცემს სამღვდე-  
ლოებას, გულით და სულით უწესეს, რომ პ. გო-  
მართელისთანა მოქაგაგეები საქმეს უჭირვებენ  
მრევლს და ძალით აძულებენ ხალხს სამღვდელოებას.  
ბევრს ადგილას კიდეც ემუქრებიან მრევლს თუ  
მღვდელს რამე მიეცითო. ყმაწვილ-კაცობა გატა-  
ცებული გომართლის სტატიების მსგავსის ნაწერე-  
ბით მართლა შეურაცხებასაც აყენებს სამღვდე-  
ლოებას, მაგრამ დიდი უმრავლესობა სწორეთ არა  
თანაუგრძნობს გომართელს. და მის კომპანიას.  
ბევრს ადგილას მქადაგებლებს წინდაწინ გამოუ-  
ცხადეს ხოლმე, რომ სარწმუნოების და სამღვდე-  
ლოების შესახებ არაფრის თქმა არ გაბედოთო.  
დიდი შეცდომაც მოუვიდათ ზოგიერთ მქადაგებ-  
ლებს. სარწმუნოების და ეკკლესიის წინააღმდეგი  
ქადაგებით მათ დაჰკარგეს ხალხის ნდობა და სასურ-  
ველი წაღილის აღსრულებას დიდათ აკნეს. იმ მქა-  
დაგებლებმა მაშინ სულ დაჰკარგეს ხალხის ნდობა,  
როცა ნათესაობის წინააღმდეგ ქადაგობდნენ.  
დარწმუნებული ბრძანდებოდეს, პ. გომართელი,  
რომ რა სასწაულებრივი ექიმობაც უნდა გამოიჩი-  
ნოს მან ხალხში იმ ნდობას ვერასოდას ვერ მოი-

პოვებს რაც უბრალო სოფლის მღვდელს აქვს  
უკვე დამსახურებული. არ ვიტყვით იმას, რომ  
სამღვდელოებაში ყველა ერთნაირად მსახურებდეს.  
ეს ასეა ყოველ წოდებაში და რა გასაკვირველია  
რომ ზოგიერთი მღვდელი ნაკლულევანი იყოს... .

აიდეთ თუ გინდათ ექიმებს წოდება. განა ისი-  
ნი პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას?  
განა ისინი თავის უმეცრებით და უვიცობით ცოტა  
ხალხს ისტუმრებენ საიჭიოს? განა ისინი საცოდავი  
ავადმყოფებით არ მღიღრდებიან? განა ისინი უარეს  
დამღუპველ მორჩილებას არ ჩადიან? მაგრამ განა  
მთელ ექიმების წოდებაზე როგორ შეიძლება ესე-  
თი ბრალის დადება?..

ის ცილის წამება, ის ბრალი, რომელსაც  
გომართელი ახვევს თავს მთელ სამღვდელოებას.  
გასაშტერებელია. თუ სინიღისის ნატამალი კიდევ  
შერჩენია კაცს არ გვჯერა, რომ იკადროს ის  
რასაც გომართლი კადრულობს. ვანა შეიძლება  
ისე უსაბუთოდ მთელი წოდების ლანძღვა? გომარ-  
თელს სრულებით არ ესმის მღვდლის მოვალეობა  
და ისეთ საქმეს ავალებს, რომელიც არც სახარებას  
და არც მოციქულებს. არ დაუვალებიათ მათ-  
თვის.

ხალხის დაჩაგვრის წინააღმდეგ მაშინაც კი  
სწერდნენ მღვდლები როცა გომართლის მამის  
ხსენებაც არ ყოფილა ქვეყანაზე. ვსთხოვთ ბ-ნ

გომართელს განგვიმარტოს რაში მდგომარეობს წენი მონაობა ბიუროკრატიისა და რით ვართ სამღვდელოება მისი მარჯვენა ხელი? როგორ ვასრულებთ ჩვენ ყოველ ბიუროკრატის მდაბალ სურვილებს? როგორ ვეწინააღმდეგებით ჩვენ ხალხის განთავისუფლებას და მის კეთილდღეობას? ველით დაწვრილებით პასუხს ბ. გომართლისაგან. თუ პასუხი არ გაგვცა მაშინ ვიწვევთ ბ. გომართელს სამედიატორო სამართალში.

შემდეგ განაგრძობს ბ. გომართელი:

„ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროა ჯერ ეს ვიკითხოთ: უნდა თუ არა თვით ხალხს სამღვდელოება?“

„ის აზრი, ვითომ ხალხი სამღვდელოებას გასაფიქროდეს, ბევრს შემცდარ. აზრად მიაჩნია: ხალხს უყვარსო სამღვდელოება, ამვეარ ჭორებს მხოლოდ სხვა და სხვა მავნე პირები ავრცელებენ, თორემ გლეხს არ უთქვამს და არც იტყვის: მღვდელი მან შეინახოს, ვისაც სურსო. დაიარეთ წენი სოფლები და დარწმუნდებით, რომ სამღვდელოებამ ხალხის თვალში ნდობა და სიყვარული დაჰკარგა.\* ) ამის მიზეზი არც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი

\* ) დიახ, ბევრგან არა თუ ნობა დაკარგეს თავიანთ მოძღვართადმი, არამედ კიდეც მოკლეს. მაგრამ ეს მოხდა ისეთი ცილის მწამებელთ მოქადაგეთა წყალობით, როგორიც

მღვდლები ბუნებით ცუდი ადამიანები არიან, არც  
იმაში, ვითომ ხალხს სარწმუნოებრივი გრძნობა  
დაეკარგოს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი კულტურუ-  
ლი ერი, რომელიც სარწმუნოებრივ გრძნობას  
მოკლებული იყოს; ჩვენ არ ვიცით არც ერთი  
ერი დედამიწის ზურგზე, რომელსაც რაიმე წარმო-  
დგენა არ ჰქონდეს საიჭიოზე და უზენაეს არსებაზე.  
მე მრწამს, რომ მომავალში კაცობრიობა და მას-  
თან ერთად ქართველი ერიც მივა იმ შეგნებამდე,  
რომ ადამიანისათვის ყველაფერი აქ იწყება — დედა-  
მიწის ზურგზე — და აქვე თავდება, მაგრამ დღეს-  
დღეობით არც კაცობრიობა, არც ქართველი ამგვარ  
შეგნებამდე არ მისულა. დღეს ქართველ ერის ერთ  
ნაწილს სარწმუნოებრივი გრძნობა აქვს და ამი-  
ტომ სამღვდელოების არსებობასაც საფუძველი  
აქვს. “\*)

---

ბრძანდება ბ. გომართელი. გამოიძიეთ მღვ. წერეთლის და  
ცინცაძის მოკვლის საქმე და თქვენ აშკარად დარწმუნდებით  
ამაში. თქვენ იტყვით ეს მღვდლები დამნაშავენი იყვნენო.  
ილია ჭავჭავაძემ რაღა დააშავა?..

\*) ვაშა ჩვენს ახალს წინასწარმეტყველს. მთელი გა-  
ნათლებული კაცობრიობა ვერ მიხვდა და ექიმმა გომარ-  
თელმა კი ასე აღვილად შეიტყო! რომ მოთხოვოს ვინმეტ  
დამამტკიცებელი საბუთი, გომართელი უთუოდიტყვის —  
სალომემ მითხრაო!..

„აქედან ცხადია, რომ ხალხს უნდა სამღვდე-  
ლოება, ხოლო მას არ უნდა იმგვარი სამღვდე-  
ლოება, როგორიც დღეს არსებობს. ხალხს უნდა  
სამღვდელოება, ქრისტეს მცნების მტკიცედ აღმა-  
სრულებელი,—დღევანდელი სამღვდელოება. კი  
ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება,  
დაჩაგრულისა და გაჭირვებულის ქომაგი, დღევან-  
დელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს  
უნდა სამღვდელოება, სიმართლისა და სამართლია-  
ნობისათვის თავგამოდებული, დღევანდელი სამღვ-  
დელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამ-  
ღვდელოება, ყოველგვარ ძალმომრეობისა და ბა-  
ტონობის მტერი, დღევანდელი სამღვდელოება  
კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება  
თავისუფლებისა და თანასწორობის მოყვარული,  
დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის.  
ერთი სიტყვით, ხალხს უნდა იმგვარი. სამღვდე-  
ლოება, რომელიც ხალხს უდგეს გვერდში და  
მხოლოდ ხალხს ემსახურებოდეს, მხოლოდ ხალხის  
ინტერესებს იცავდეს.“

ბ. გომართელმა იჯერა გული თავისი ჩვეუ-  
ლებრივი სიტყვებით. ჯერეთ სამღვდელოება დააჯ-  
დინა ხალხის კისერზე, მერმე სამღვდელოების მა-  
გიერ ბიუროკრატია დაასკუპა ხალხის კისერზე და  
სამღვდელოება ბიუროკრატიის თანაშემწედ გამო-  
აცხადა. რისთვის? ეს გომართელმა იცის! გომარ-

თელს სამღვდელოება არა სწამს და წინასწარმეტყველობს, რომ „შემდევში ყველა შეიგნებს. რომ ყველაფერი ქვეყანაზე იწყება და აქვე თავდებაო“. გომართელი ამ სიტყვებს ისე მედიდურად წარმოსთქვამს, რომ ვითომც პირველად ის ამბობდეს ამას. ალბათ გომართელმა არ იცის, რომ ორი ათას ექვსასის წლის წინათაც, როგორც დავით წინასწარმეტყველი მოწმობს, უგნუვნი ამბობდენ ამას:

„სთქვა უგნურმა გულსა შინა თვისსა არა არს ლმერთი, განირყვნენ და ბილწ-იქმნენ იგინი“. გომართელს არა სწამს საიჭიო და, რასაკვირველია, არც მღვდელი. მაგრამ ამას სიტყვით, ფარისევლურად ამბობს, თორემ საქმით სხვას ასრულებს. ერთ დროს გომართელმა სთქვა, რომ ის კაცი კაცად არ ჩაითვლება, რომელიც ცოლს შეირთავს. როცა მისმა თაყვანისმცემლებმა ამხილეს ცოლის შერთვა განაცხადა: გარემოებამ მაიძულა ცოლის შერთვაო. არა სწამს ეკკლესია და მღვდელი, როგორც თვითონ სწერს მაგ. ბავშვის დამარხვისათვის ეკკლესის ეზოში თხოვნებით აწუხებს. მღვდელთმთავარს და გუბერნატორს! ყოველ მღვდელმოქმედების შესასრულებლად მღვდლებს აწუხებს. გომართელს დიდ პატივს მოუპოებდა ხალხში. მტკიცედ აღსრულება მისგან იმისა, რასაც სახალხოდ აღიარებს. მაგრამ ალბათ წერით ფარისევ-

ლობს. სწერს, სიტყვით ამბობს, და საქმით კი არ  
ასრულებს. რა უნდა უწოდოთ ამისთანა კაცს?

სასწაულთმომქმედ ექიმს არ უნდა, რომ აწ-  
ყენინოს გლეხებს და ამბობს: ჩვენს ხალხს სარწმუ-  
ნოება აქვსო და სამღვდელოებაც ჯერეთ საჭიროა,  
მაგრამ ეხლანდელი სამღვდელოება არ უყვარსო,  
რადგან წითელი ბაირალით არ მიუძღვის ხალხს და  
ბიუროკრატიისაგან ვერ გაანთავისუფლა!.. გომარ-  
თელის აზრით, ვინაიდგან კაცი ცხოველების მსგავ-  
სია და სულიერი არა არსებობს-რა. მღვდელი ხორ-  
ციელობას უნდა ემსახუროსო და ხალხი ბიუროკ-  
რატიის ბრჭყალებიდან, ყაჩალებიდან და ქურდე-  
ბიდან უნდა დაიფაროს! მღვდლები თურმე ქრის-  
ტეს ამისათვის დაუყენებია და ისიც დაუვალებია.  
რომ გომართელის სოფელში, სამოთხე დაეარსე-  
ბიათ!.. ვინაიდგან ბ. გომართელის შეგნება სარ-  
წმუნოების უარ-ყოფაზე ყველას არა აქვს და „ქარ-  
თველების ერთ ნაწილს სარწმუნოებრივი გრძნობა  
კიდევ აქვს შერჩენილი ამისათვის. სამღვდელოების  
არსებობასაც საფუძველი აქვს ჯერჯერობითო“,  
და უმოწყალესად ნებას აძლევს ხალხს იყოლიოს  
კიდევ (დროებით ალბად) სამღვდელოება! ბოლოს  
ჩამოთვლის როგორი სამღვდელოება უნდა ხალხსო  
და ვალად უდგენს: დაიფაროს ხალხი ბიუროკრა-  
ტიისა, ყაჩალებისა, ქურდებისა და მტაცებელთაგან!  
გომართელის აზრით მღვდლები სუდიებიც, ექიმე-

ბიც, ადშინისტრატორებიც და ყველაფერი უნდა იყვნენ. მრევლის სულიერ მოთხოვნილებას და საიდუმლოების აღსრულებას სრულებით თავი უნდა დაანებონ... გომართელს მღვდლის მოვალეობად არ მიაჩნია საიდუმლოების აღსრულება, წირვა-ლოცვა და ხალხის ზნეობითად დარიგება. მისი აზრით ყოველი მღვდელი ხალხს გვერდში უნდა ამოუღეს და ბიუროკრატიის ძირ ჩამოგდევ ბისათვის ეხმარებოდეს. ხალხს კი ამისთანა მღვდლები არ უნდა, ხალხი ითხოვს, რომ მღვდელი იყოს მოსამსახურე მისი სულიერი მოთხოვნილებისა და სულიერი საჭიროებისათვის; მღვდლები იცავდეს ხალხს ზნეობით დაცემისაგან და სულიერად აღამაღლებდეს მას და ნიადაგ ზრუნავდეს მისი სულიერი წარმატებისათვის. აი, რა ითხოვება მღვდლისაგან და არა ის, რომ თოჭით და ზარბაზნით აღიჭუროს და ქომება გაუწიოს გულმკერდზე ხელდაწყობილ თავის სამწყოს... .

განვაგრძოთ, მკითხველო, სიბრძნისაგან ითანხე გომართელის ეფისტოლებს საკითხავი:

„ყოველსავე ამას სამღვდელოება, შესძლებს მხოდოდ მაშინ, როდესაც ის თავისუფალი და სრულებით დამოუკიდებელი გახდება.\* ) დღევანდელი სამღვდელოება ბიუროკრატიის მონა და მოსამსახურეა: ის ხალხს კი არ ემსახურება, არამედ

\*.) თუ ასეა, რატომ არ გრცვენიათ ამდენი ცილის წამებისა?

ბიურკატიას, რომ ხალხსა და სამღვდელოებას-შეა  
ხიდი ჩატეხილია. სამღვდელოების განთავისუფლება  
შეუძლებელია ისე, თუ მთელი ხალხი არ განთა-  
ვისუფლდა, თუ არსებული რეუიმი მთლიად არ შეი-  
ცვალა. დამოუკიდებლობაც რომ მოიპოვოს სამ-  
ღვდელოებამ, არსებულ პირობებში ის ვერაფერს  
ვერ გააკეთებს ხალხის საკეთილდღეოდ, რადგან  
იმის ყოველგვარ მოქმედებას, ხალხის ბეჭნიერები-  
საკენ მიმართულს, ბიუროკრატია ყოველთვის  
ფრთხებს შეაკვეცს. სამღვდელოების საკითხი მთე-  
ლის ხალხის საკითხია და ცალკე მისი გადაწყვეტა  
შეუძლებელია; შეუძლებელია რაიმე საშუალებით  
სამღვდელოების აღდგენა ხალხის თვალში ისე, თუ  
არსებული რეუიმი არ შეიცვალა.”\*)

„ამიტომ დროა, სამღვდელოება ხალხს ამო-  
უდგეს გვერდში, ხალხს დაეხმაროს მთელის თავის  
ძალ-ღონით ბიუროკრატიის დამარცხებაში; ამით  
აღადგენს იგი თავის სახელს და მოიპოვებს შესაფერ  
ადგილს ხალხის ცხოვრებაში. ამგვარ მოქმედების  
გარეშე კი ყოველი სხვა გზა ამათ და ტყუილი  
იქნება და სამღვდელოებას ვერ მიიყვანს საწადელ  
მიზნადმდე.“

\*) ალბათ გომართლის მეხსიერება ძრიელ კოჭლობს.  
წინეთ ამტკიცებდა, რომ მღვდლებს რომ არა ეხლა სრული  
კონსტიტუცია მოგვენიჭებოდა ო დღეს ამბობს: თუ არ-  
სებული რეუიმი არ შეიცვალა მღვდლები ვერაფერს ვერ  
შესძლებენ!.. ამისთანა კაცები ლოლიკის ზედმიწევნით ცო-  
დნას იკვეხიან!..

უველამ კარგად იცის მღვდლის უმთავრეს მო-  
ვალეობას შეადგენს, რომ იგი ნიადაგ ზრუნავდეს.  
თავიანთ სამწყსოთა სულის ცხოვნებაზე, ნიადაგ  
ახსოვდეს, რომ იგი პასუხის მგებელია ღვთის წი-  
ნაშე თავიანთ სამწყსოთა სულის წარწყმედისათვის.  
იგი ვალდებულია არ დაუკარგოს არც ერთი სული,  
რომელიც გამოყიდულია ქრისტეს სისხლით. ამას ავა-  
ლებს მწყემსთ თვით იესო ქრისტე, როდესაც  
ბრძანებს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი  
წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა  
მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა“. სა-  
ხარების სწავლით დადგენილნი არიან შვიდნი საი-  
დუმლონი, რომელთა აღსრულება სავალდებულოა.  
მღვდელთათვის...

ურწმუნო კაცთან ლაპარაკი და დაობა სწო-  
რეთ ისე ძნელია, როგორც გიუთან. გიუს ელაპა-  
რაკე რამდენიც გინდა, ის შენს ლოლიკურ მოსა-  
ზრებას სრულებით ყურს არ დაუგდებს, ის მხო-  
ლოდ იმას გეტყვის რასაც მისი ანთებული ან დაჩ-  
ლუნგებული ტვინი შთააგონებს. შენს სიტყვებს  
ყურსაც არ ათხოვებს. კაცს, რომელსაც არაფერი  
სწამს სახარებისა, რას დაუმტკიცებთ თქვენ ამ  
სახარებით? მაგრამ ჩვენს „სასწაულთმომქმედ“ ეჭიმს  
ითანხე გომართელს იესო ქრისტე სხვებ თუ არა  
სწამს, დიდებულ მოქადაგეთ მაინც მიაჩნია, რო-  
გორც თვითონ აღიარებს. ამისათვის სახარების  
სიტყვებს, მის სიტყვებს, მის სწავლა მოძღვრებას,

უარი არ უნდა უთხრას. აი რას ვკითხულობთ  
ჩვენ სახარებაში:

ნუ ჰზრუნავთ სულისა. თქუმნისათვის, რაც ჰსჭამოთ  
და რაც სუათ, ნურცა კორცა თქუმნთათვის, რაც  
შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროს არს საზრდელი-  
სა, და გუამი სამოსლისა?

მიჰხედეთ ფრინჯულთა ცისათა, რამეთუ არა ჰსთეს-  
უნ, არცა ჰმკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა  
თქუმნი ზეცათა ზრდის მათ, არამე უფროს თქუმნ  
უმჯობეს ხართა მფრინჯულთა?

ხოლო თქუმნ ეძიებდით პირველად სასუფეველსა  
ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი  
შეგეძინოს თქუმნ.

ეკრძალენით ცრუ-წინასწარ-მეტყუულთაგან, რომელ-  
ნი მოვიდნენ თქუმნდა სამოსლითა ცხოვართათა, ხო-  
ლო შინაგან იყრნენ მგელ-მტაცებელ.

რამეთუ რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი  
ყოველი შეიძინოს, და სული თვისი იზღვიოს? ანუ რა  
მიჰსცეს კაცმან ნაცულად სულისა თვისისა?

ზემო მოყვანილი სახარების სიტყვები ცხა-  
დად და აშკარად მოწმობენ, რომ მღვდელი უმე-  
ტესად უნდა ზრუნავდეს თავიანთ მოწაფის და  
სამწყსოის სულის ცხოვნებისათვის და მათ ზნეო-  
ბით ამაღლებაზე და არა თავიანთ სამწყსოთა პო-  
ლიტიკურ მდგომარეობაზე. ფუჭია კაცის ამ ქვეყ-  
ნად ფუფუნებითი ცხოვრება, ფუჭია ხალხისათვის  
იღეალური მართვა-გამგეობა თუ იგი დაცემულია  
სულიერად და ზნეობითად! რა უნდა შეიძინოს

კაცმა ამ ქვეყანაზე თავის სინდისზე და სულზე უძვირფასესი? მაგრამ ტყუილად დროს დაკარგვა იქნება ამ საგანზე ბაასობის გაგრძელება ბ. ეჭიმ გომართელთან. თათარს და ურიას, რამდენიც უნდა განუმარტო ქრისტეს მცნება, რამდენიც უნდა შოუყვანო სახარების სწავლა-მოძღვრება მათ მაინც ვერ დააჯერებ და თავიანთ სჯულის მცნებაზე უარს ვერ ათვისებინებ...

ბ-ნი გომართელი ჯერეთ ახალგაზდა კაცია, გამოუცდელი ცხოვრებაში. სულიერი ქვეყნის უარყოფით დიდ გენიოსად მოაქვს თავი. იგი სახარების სიტყვებს უკულმართად განმარტებს.\*)

ბ-ნი გომართელი ძველი პაიჭებივით, ხშირად იცვლის აზრებს და, დარწმუნებული ვარ თავის დღევანდელ რწმენას სიბერის დროს, თუ საღ გონებაზე დარჩა, უთუოდ შეიცვლის და ბევრ-საც ინანებს ზოგიერთ გამოჩენილი მწერლებივით როგორც, მაგალითებრ, ნანობდა პუშკინ და სხვები, მაგრამ გვიანდა იქმნება!..

\*) სემინარიაში მყოფობის დროს ერთი ამხანაგი მყავდა, რომელიც ყველა შეგირდებში უკანასკნელი იყო. არც ერთ საგანში ერთზე და ორზე უკეთესი ნიშანი არ ჰქონდა. დარვინის წიგნი იყიდა და ნიადაგ იღლიაში ატარებდა. ვინც კითხვედა რა წიგნია, ყველას ეუბნებოდა: დარვინის თხზულებათ. და ამით ფარავდა თავის უვიცობას და გონების სილატაკეს!..

გომართელს ჰელინია, რომ მდიდრები ამ ქვეყანაზე ბედნიერები არიან. არ იცის მან თუ რა ჯოჯოხეთია ცხოვრება ზოგიერთი მდიდრისათვის, რა ბედნიერათ სცხოვრებს მდიდარზე ბევრად უღარიბესი ოჯახი. ჩვენმა „შესანიშნავმა“ ექიმმა, ითანა გომართელმა, არ იცის ჯერეთ, რომ ქვეყანაზე არ შეიძლება ყველა ერთნაირად ბედნიერად სცხოვრებდეს ისე, როგორც არ შეიძლება ყოველი კაცი ერთნაირი მალხაზი გონებით, ერთნაირი ჭკუვით და ნიჭით იბადებოდეს. ბ. გომართელი თავისებურად, ახირებულად უყურებს ხალხის ცხოვრებას, ახირებულად და თავისებურად ხსნის ხალხის სიღარიბეს და სიძაბუნეს. ხალხის ყოველივე უბედურობის მიზეზად სთვლის მარტო ბიუროკრატიას და მდიდრებს. გომართელი ისეთ რამეს მიაწერს ბიუროკრატიას და მდიდრებს, რომელიც მათ სრულებით არ მიეწერება. თუ მდიდრებია დამნაშავე ღარიბთა უბედურ ცხოვრებაში, მაშ გომართელიც დამნაშავე ყოფილა....

ქალები არ არიან კმაყოფილნი, რომ იგინი ქალებად დაიბადნენ. მე დარწმუნებული ვარ, ყს რომ დედაკაცებმა შესჩივლონ ბ. გომართელს ის უთუოდ ამ მოვლენის მიზეზად ბიუროკრატიას დასახელებდა და მღვდლებსაც დამნაშავედ გაამოიყვანდა!..

ამას წინეთ ბ. გომართელმა აღიარა, რომ  
არა მრწამს არაფერი საზენაოვო და ეშმაკების  
არსებობა თურმე კი სწამს! ეს ცხადად სჩანს მისი  
სიტყვისაგან “სამლელოება ეშმაკებს ემსახურე-  
ბაო”. ვინაიდგან გომართელს სამლელოება ეშმა-  
კების მოსამსახურედ მიაჩნია, რამდენიც უნდა  
დაუმტკიცო მას ვერ დაჯერებთ, რომ სამლე-  
ლოებას სარგებლობის მოტანა შეეძლოს ხალხი-  
სათვის, რომ სამლელოებამ რიკიანი და დიდი  
სამსახური გაუწიოს ხალხს...

არ შემიძლია მთელი სამლელოება უნაკლუ-  
ლოდ მივჩნიო და ყველანი თავის დიდი მოვა-  
ლეობის აღმასრულებლად. ამის მოთხოვნა ყოვე-  
ლი მლელისაგან დღეს არც შესაძლებელია, ვი-  
ნაიდგან ჩვენში მლელები არ არიან ყველანი  
მომზადებულნი და გონებით განვითარებულნი,  
რომ ხალხის წინამდლოლობაც შეიძლონ. სწავლით  
და ქადაგებით და მლელმოქმედების აღრსულე-  
ბაც. მაგრამ ამაში დამნაშავეები ისევე ხალხია, რო-  
მელიც არ დაეძებს როგორიც უნდა იყოს მლელი,  
რომნდ წირვა და საიდულო მლელმოქმე-  
დებათა შესრულება შეიძლოს. უმრავლესი ნაწილი  
სამლელოებისა ამ უკანასკნელ მოვალეობას  
ასრულებს. იმათ სრულებით არ იციან ბაჟრო-

კრატია და არც ბიურო რატია მირქვევა თავიანთ  
სურვილის აღსასრულებლად მათდამი მაგრამ მრავალნი არიან ისეთებიც, რომელნიც ბ. გომართელზე ბევრად მეტს აკეთებენ სოფლებში და ბევრად მეტს სამსახურს უწევენ საზოგადოდ. ხალხს და განსაკუთრებით თავიანთ სამწყსოს. გომართელის ხსენება არ იყო ქვეყანაზე იმ დროს, როცა სოფელში ჩამდგარი ბევრს ცეომებოდით ხალხის შემავიწროებელთ და დამჩაგვრელთ. ვიმოწმებთ ამაჩე შორ, მაზრის გლეხობას. ჩვენს გარდა სხვა განაც არიან მუშაკნი მღვდლები, მაგრამ, გომართელის აზრით თურმე, ყველა სამღვდელოება ეშმაკებს ემსახურება!?

სად ბრძანდებოდით, ბ. ი. გომართელი, 1886 წელში, როცა ჩვენ, გაზეთებში წერით კიარა, ოფიციალურად განვაცხადეთ პროტესტი დელა ენის მოსპობაზე სკოლებში, რომლისათვის განსვენებული იანოვსკი ცივ ქვეყნებისკენ გადასახლებას გვექიდოდა? სად ბრძანდებოდა ბ.ნი გომართელი, როდესაც არც პრესას, არც მთელ თავად-აზნაურობას და არც გლეხობას არ მივემხეთ ერთ თავის დამცირებელ დღესასწაულობაზე?. სად ბრძანდებოდა, ბ. ი. გომართელი, როცა საწყალი დაჩაგრული გლეხები შორაპნის მაზრისა, ჩვენის ქომა გობით, განთავისუფლდა ბევრი უაჯავო სოფლის ბიურო კრატიის მოთხოვნილებისაგან? იცის თუ არა

ბ. გომართელმა, რამდენი უსიამოვნება მოგვდგომია ჩვენ მიუროკრატიის მოსამსახურეებისაგან გლეხების ქომაგობისათვის? ეხლა თქვენთვის მომინდვია, მკითხველო, რამდენად საფუძვლიანია. გომართლის ბრალდება ვითომც ჩვენ ეშმაკებს ვემსახურებოდეთ. გომართელი, რომ ბრალს არ სდებდეს მთელს სამღვდელოებას მაშინ ჩვენ ხმას არ ამოვრდებდით. მთელ სამღვდელოებაში, რასაკვირველია, შეიძლება ბევრი სამღვდელოება იყოს ხალხისთვის უსარგებლო. თორმეტ მოციქულში ერთი იუდა გამცემელი გამოერია! მაგრამ იუდას გულისათვის ოომელი ჭიუვიანი კაცი იყადრებს ყველა მოციქულებს გამყიდველები უწოდოს? გომართელს არა აქვს უფლება რამდენიმე სამღვდელოების ცუდი ჭცევისათვის სახარებაც, ეკკლესიაც და მთელი სამღვდელოებაც უარ-ჰყოს და შეაჩვენოს...

გომართელს ჰეგონია, რომ მღვდლები არა თანაუგრძნობენ ხალხის სასიკეთო საქმეს და სასურველ მისწრაფებას... ძლიერ სცდებით თქვენს მოსახრებაში, ბ. გომართელო. თქვენსავით, უსაფუძვლოთ რომ არ ვსჯიდეთ, თქვენსავით უაკტოდ, რომ არ ვყვიროდეთ აქედან ის დასკვნა არ შეგიძლიათ გამოიყვანოთ; რომ არ ვიყოთ მონატრესახელმწიფოს იმისთანა თავისუფალი მართვა-გამ-გეობისა, როგორიც სუფენს ევროპის განათლებულ და დაწინაურებულ სახელმწიფოებში. საყო-

ველთაოდ აღვიარებთ, რომ არა გურწამს ჩვენ ხალ-  
ხის ბედნიერი ცხოვრება იქ, სადაც თვითონ ხალ-  
ხის წარმომადგენლები არ განაგებენ სახელმწიფო  
შესავალ-გასავლის ანგარიშს. არა გვრწამს ჩვენ  
ხალხის რიგიანი და წარმატებითი ცხოვრება იქ  
სადაც არ არის თავისუფლება პიროვნებისა, ბეჭ-  
დვითი სიტყვისა და სარწმუნოებისა. დავათვალიე-  
რეთ ყველა სახელმწიფოები ევროპისა, დავაკვირ-  
დით მათ ცხოვრებას და მივედით იმ დასკვნამდის,  
რომელიც ეხლა მოვიყვანეთ. მაგრამ, სამწუხაროდ,  
აქვე უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, რომ ჩვენს  
პრესსას და ჩვენს პუბლიცისტებს ბევრი რამ აკლიათ  
და ბევრში კოჭლობენ, როცა სჯიან, თუ რა სა-  
შუალებით და რა ღონისძიებით მიანიჭონ ხალხს  
სანატრელი რეფორმები. ევროპის სახელმწიფოების  
ხალხებს ისე აღვილად არ ასრულებია სანატრელი  
სურვილი, როგორათაც ფიქრობს ბ. გომართელი.  
და მისი კომპანია. ევროპის ხალხს მარტო გაზე-  
თების ჯლაბნით და ცარიელი მუშტით კი არ და-  
უარსებიათ რეფორმები, არამედ სხვა გზით და სხვა  
საშუალებით. ჩვენში ზოგიერთებს, საადვილოდ  
მიაჩნიათ რეფორმების შემოღება, მაგრამ ეს საქმე  
ითხოვს დიდს გამჭრიახობას, დიდ გამოცდილებას,  
შორს განმჭვრეტელობას და ნივთიერად შეძლებას  
ხალხისაგან. სამზღვარს გარედ რეფორმების მოსახ-  
დენად დიდი ხნიდან ემზადებოდა ხალხი. ჩვენში?

სწორეთ იმ დროიდან როცა გომართელმა წერა  
ისწავლა!.. მარალია წინეთაც მაცადინობდენ რე-  
უიმის შეცვლას, მაგრამ იმ შეცდომით რა შცდო-  
მასაც ეხლა ჩადიან.

სანატრელი ცვლილების მოსახლენად ხალხი  
ერთმანერთზე მტრად კი არ უნდა გადაპყიდო,  
არამედ შეათანხმო და მათ შორის ნამდვილი ერ-  
თობა დაამკვიდრო. ძართველები მაშინ იყვნენ  
გამარჯვებულნი როდესაც მათში იყო ერთობა,  
თანახმობა და ძმური სიყვარული. ქართველები  
მაშინ იყვნენ უძლეველნი და კლდესაივთ მაგარნი,  
როდესაც ერთ ხელში თოფი და საომარი იარაღი  
ეჭირათ და მეორე ხელით ეკკლესიას აშენებდენ.  
ბ-ნი ექიმი გომართელი და მისი კომპანია კი ხალხს:  
ურჩევს ეკკლესიები დაანვრიონ, დაწვან და სამ-  
ლვდელოება თავიდან მოიშორონ!.. ამით გაკეთდება  
საქმე? ამით მიაღწევთ საწადელს? ეკკლესიების  
და სამლვდელოების მოსპობით სად მიაღწიეს ბედ-  
ნიერ ცხოვრებას და რეფორმებს? დაგვისახელეთ,  
ბატონო ექიმო ითანხე გომართელო, ერთი სა-  
ხელმწიფო შაინც საღმე დედამიწაზე, სადაც ეკ-  
კლესიები და სამლვდელოება არ არსებობდეს? რა:  
და თქვენ მიხვდით და შეიტყეთ ეკკლესიების და  
სამლვდელოების შავნებლობა და ამერიკელები  
ინგლისელები, შკეიცარიელები, გერმანიელები და  
სხვა ხალხები ვერ მიხვდენ ეკკლებიების და სასუ-  
სულიერო წოდების მავნებლობას და ვერ მოსპეს  
იგინი? საღმრთო წერილი ამბობს: „როცა ეგონათ

თავის თაფა ბრძნად, მაშინ გასულელდენო". ამას ამტკიცებს სწორედ ზოგიერთების მსჯელობა!

ბ. გომართელს გაუგონია, რომ საფრანგეთში ხალხი კლერიკალების და კონგრიაციების წინა-აღმდეგნი არიანო და ჩვენს სამლვდელოებასაც კლერიკალებად სთვლის! ამით აშკარად ამტკიცებს, ბ. გომართელი, რომ არ ესმის კლერიკალიზმი და არც ჩვენი სამლვდელოების მდგომარეობა...

შემცდარი ბრძანდებიან ისინიც ვინც ფიქ-  
რობს, რომ ხალხის გაპროლეტარიატებით ელიო-  
სონ სანატრელ რეფორმებს. კარგია, რომ ხალხს  
არ ესმის თურა არის პროლეტარი! არ არიან ჩვენში  
პროლეტარები და ლმერთმაც ნუ გააჩინოს იგინი.  
აუხსენით და განუმარტეთ ხალხს ვინ იწოდება  
პროლეტარად. შეატყობინებთ ხალხს, რომ  
უცხოეთში პროლეტარებად იწოდებიან ისინი,  
რომელთაც არ იციან არც დედა, არც მამა, რო-  
მელთაც არა გააჩინიათ-რა სრულებით არც სახლი  
და არც კარი და მხოლოდ მუშაობენ და დღიუ-  
რად ირჩენენ თავს. ეხლა რამდენია ამისთანა პრო-  
ლეტარები ჩვენში? „პროლეტარებო მოელი ქვე-  
ყნისა შეიკრიბენით“. რამდენად სულელი უნდა  
იყოს ის კაცი, რომელიც პროლეტარებიდან მოე-  
ლიან ხსნას!..

ზემო თქმული სიტყვებით იჩას კი არ ვამტ-  
კიცებთ, რომ რეფორმები საჭირო არ იყოს. არა,  
რეფორმები საჭიროა მიუკილებლად, მაგრამ ხალ-  
ხის გაპროლეტარიატებით კი ვერ დავაარსებთ ამ რე-  
ფორმებს, არამედ სხვა ლონით და სხვა საშუალებით...

სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ აღარ შევა-  
წუხებ მკითხველს გრძელი სიტყვით. უკანასკნელიდ  
ვითხოვ, ბ. ი. გომართელო, კატეგორიულად გვი-  
პასუხოთ:

1) როგორ ეწინააღმდეგება ჩვენი სამღვდე-  
ლოება სწავლა განათლებას; როდესაც წერა-კით-  
ხის გამავრცელებელი და სკოლების დამაარსებელი  
ჩვენს გუბერნიაში სწორეთ ეს სამღვრელოება იყო  
და არის იმ დროიდან, როცა ჩვენში ხსენება არ  
ყოფილა სახალხო სკოლების დირექტორებისა და  
ინსპექტორებისა?

2) როგორ ეწინააღმდეგება სამღვდელოება  
ხალხის კეთილდღეობის დაარსებას და ახალი რე-  
ფორმების შემოღებას?

3) რაში მდგომარეობს სამღვდელოებისაგან  
ბიუროკრატიის მდაბალი სურვილის ასრულება?

4) რომელი მოქმედებით გამოიხატება სამღვ-  
ლოების მხრით წინააღმდეგობა რეფორმების შემო-  
ღებისა?

5) ვითარი იყო საქართველოს ერისთვის სამ-  
ღვდელოების სამსახური მეორამეტე საუკუნემდის  
და, თუ მეცხრამეტე საუკუნეში მის სამსახურს  
ნაკლი აქვს, ვისი ბრალია ეს და ვინ არის ამაში  
უმეტესად დამნაშავე?

6) რაში მდგომარეობს მღვდლის მოვალეობა  
ხალხის და ლეთის წინაშე?

ჩვენი პასუხის პირველი ნახევარი, გომართლის  
სტატიის გამო, დაბეჭდი „მწყემსი“-ს შე 17 ნო-  
მერში. მეორე ნახევარი ამ პასუხისა უნდა დაბეჭ-  
დილიყო შემდეგ ნომერში, როგორც იყო გამოც-  
ხადებული. ყოველი რიგიანი და სიმართლის მიმ-  
ღევარი მწერალი მოიცდიდა მეორე ჩვენი პასუხის  
ნახევრის დაბეჭვდამდის და ბოლოს ერთად გაგვცემ-  
და პასუხს. მაგრამ გომართელმა დაარღვია ეს წესი  
და მოგვცა პასუხი, რომელიც დაბეჭდილია „ივე-  
რიის“ 174 ნომერში. ბ. გომართელს ამ მოს-  
წრაფებულ პასუხში თითქმის გამოუთქვამს ყო-  
ველივე თავის გამართლება და როლის აგებს  
პასუხს იმ კითხვებზე, რომელნიც ჩვენ მივეცით  
მას ჩვენ პასუხის მეორე ნახევარში, არ ვიცით.  
მეორე ნახევარი ჩვენი პასუხისა თითქმის პასუხია  
გომართლის მოსწრაფებულ. თავის გამართლებისა  
და ამისათვის მკითხველს ილარ დასჭირდება გამეო-  
რება ჩვენი უკვე დაბეჭდილი სიტყვებისა.

ჩვენ არასოდეს არ გვაქვს ჩვეულებად, რომ  
დავთაროთ მოკამათის ნათქვამი სიტყვები, ან გან-  
გებ დავამახინჯოთ, როგორც ეს ჩვეულებად აქვს  
ზოგიერთ პირებს. სავალდებულოდ მიგვაწია პირ-  
ველად მოკამათის სიტყვები მოვიყვანოთ შეუცვლე-  
ლად და მერე გავსცეთ პასუხი. ეს იშისათვისაა  
საჭირო, რომ მკითხველმა საზოგადოებამ მოისმინოს  
ორივე მხრის ნაწერები და შემდეგ დასდვას თავრსი

მსჯავრი. რა მსჯავრი უნდა დააღვინოს მსაჯულმა ერთი მხრის ნალაპარაკევეით, თუ მეორე მხრის პასუხი არ მოუსმენია? როგორ უნდა გაარჩიოს „ივერიის“ მკითხველმა მე და გომართლის საკამათო საგანი, როდესაც ჩვენი პასუხი არ წაიკითხავთ და ბ. გომართელი ჩვენს სიტყვებს ზოგან თავისებურად კიდევ ამახინჯებს! გომართელს და არც სხვას არა აქვს უფლება ჩვენი სიტყვები თავისებურად გადააკეთოს და მერე აგოს პასუხი. რიგიან მწერალს უნდა მოყავდეს მოწინაღმდეგის სიტყვები შეუცვლელად და შემდეგ გასცეს პასუხი. მაგრამ ზოგიერთი მოკამათისათვის ეს არ არის სასარგებლო, ვინაიდგან თავს ვერ გაიმართლებს. .

ჩვენ, როგორც ჩვეულებად გვაქვს მოვიყვანთ. მთლიად გომართლის პასუხს და გავსცემთ პასუხს შემოკლებით, რადგან სრული პასუხი მკითხველს შეუძლია წაიკითხოს მე-17 და მე-19 „მწყემსში“. ს ნომრებში.

„ერთი ქართული ანდაზა: თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო, — ბრძანებს ბ. ი. გომართელი. — ეს ანდაზა გამახსენდა, როცა დეკლაბაშიძის წერილსა ვკითხულობდი „მწყემსში“. მამალეკანოზს არა თუ პირი, გულიც ძალიან დასწვია. .. ავტორი ლობე-ყორეს მოსდებია, მოუხსნია თავი ჭორებისა და ლანძღვა-გინების დიდის გუდისთვის, რომელიც დეკანოზს გვარიანად გატენილი ქონია,

და დინჯი პასუხის მაგიერ ამით უმასპინძლდება  
თავის მკითხველებს.

„ასეა თუ ისე, ამგვარ წერილს მე, დიდი ჩანია,  
მოველოდი. ბ-მა ი. ნაკაშიძემ ჩემი წერილის წყა-  
ლოებით მე თითქმის კლერიკალობა დამწამა, სამღვ-  
დელობა გაჩუმებულიყო და ცოტა შეფიქრიანებუ-  
ლი ჩემს თავს ვეკითხებოდი: იქნება ის ვერა ვთქვი,  
რისი თქმაც მინდოდა, და ჩემი გულის ნადები  
მკითხველს ცუდად გადავეცი-მეთქი. დეკ. ლამბაში-  
ძემ კი დამარწმუნა, რომ მე სწორედ ისა ვთქვი,  
რისი თქმაც მინდოდა, და ვთქვი ისე, როგორც  
უნდა მეთქვა, თორემ დეკანოზს პირი არ დაეწოდა  
ასე საშინლად. ამიტომ ვარწმუნებ მ. დეკანოზს,  
რომ მის წერილში კიდევ მეტი ლანძლვა რომ ყო-  
ფილიყო, მე კიდევ უფრო მთამებოდა, რადგანაც  
ეს ლანძლვა საუკეთესო საბუთია ჩემი წერილის  
ლირსებისა.“

ბ. გომართელის მოყვანილი ანდაზა ისეთი გა-  
ცეცილია და ისე უადგილოდ ნახმარია, რომ გვიკ-  
ვირს გომართელი როგორ კადრულობს მის ხმარე-  
ბას. მოგდგეს და გაგლანძლოს კაცმა; ისეთი ბრალი  
მოგაწეროს, რომელიც არასოდეს, არა თუ საქმით  
ჩაგედინოს, არამედ არც კი გაგეფიქრებიოს; შენ,  
რომ თავი გაიმართლო და ბრალმდებელს დაუმტკ-  
იცო ბრალდების უსაფუძვლობა და საჭირელის  
უჯაობა, ამაზე შენ გეუბნებიან: პილპილი თუ არ

გიჭამია, პრინტი რათ გეწვისო! ბ. გომართული ყველას  
უმტკიცებს, რომ იგი თავაზიანი კაცია და ჩვენ გვ-  
იკისებინებს, რომ ლანძღვით სიტყვები ვიხმარეთ მის  
შესახებ კამატის ღრუს. ჩვენს პასუხში ვერსალ ვერ  
ნახავთ ისეთ უკადრის სიტყვას ბ. გომართლის აღ-  
რესისამებრ, რომელიც აღემატებოდეს მის „დიდ  
ჭორის-ტომარას“, რომელსაც ჟევ აღვილად გვაწერს  
ჩვენი „ზრდილობიანი“ მოკამათე ექიმი! დიალ, ბ.  
გომართელო, მართლა, ხშირად არ იცით შინაარსი  
თქვენგან დასტანბულ წერილებისა და ბოლოს  
გაიგებთ ხოლმა, როგორც ეხლა შეგიტყვიათ ჩვენი  
წერილის შედეგ, თურმე „ის გითქვამს რისიც თქმა  
გინდოდათ“!.. რაიცა შეეხება მას, რომ ი. ნაკაში-  
ძემ ვითომც თქვენ კლერიკალობა დაგწამათ, ის,  
უკაცრაული პასუხია, აშკარა სიცრუე უნდა ჰყოს.  
თქვენ საქვეყნოთ აღიარეთ, როკორც ზოგიერთშა  
სუსტმა შეგირდებმა იციან ხოლმე თავის გამოსაჩე-  
ნად, რომ არა გრწამთ არაფერი საზენო და კაცის  
სულიერი ბუნება, და რომელ კაცს უნდა დაეწამ-  
ებია თქვენთვის კლერიკალობა? არ გვჯერა ჩვენ ეს,  
ვიღრემდის თვით ბ: ი. ნაკაშიძე არ დაამოწმებს და  
არ დაასახელებს, თუ რა საბუთით გწამებდათ თკვენ  
იგი კლერიკალობას...“

შემდეგ განაგრძობს ბ. გომართელი:

„მ. ლამბაშიძე თავის პასუხს ასე იწყებს. ბ-ნ  
გომართელის წერილს არავითარ ყურადღებას არ

მივაქცევდით, რომ ეს ექიმი ხალხს სასწაულმომქმედიათ არ მიაჩნდეს და არ დღიდებდესო. აქედან თავისთავად ცხადია, თუ რამ ააღებია კალამი ხელში მ. დეკანოზს: მას ეშინია, ხალხმა გომართელს არ დაუჯეროსო. ვაუწყებ მ. დეკანოზს, რომ მისი შიში სრულებით უსაფუძვლოა: ხალხმა კი არ დაუჯერა გომართელს, თვითონ გომართელმა დაუჯერა ხალხს, — გომართელმა მხოლოდ ის სთქვა თავის წერილში, რასაც, დიდი ხანია ამბობს ჩვენი ხალხი. მ. ლამბაშიძეს უკვირს, რომ ხალხშიც ბევრი ცრუაზრი არსებობს ხშირათ ამა თუ იმ პირთა შესახებ, გასაკვირვალი კი არა, ეს სამწუხარო მოვლენაა. ამ გვარი მაგალითები ცხადად იმტკიცებენ, თუ რამდენად ლატაკია ხალხი გონებით, რამდენად ცრუმორწმუნება ის. მერე ვინ დააბნელი ხალხის გონება? ყოველ დროის მთავრობისა და სამღვდელოების უმთავრესი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ ხალხისათვის გონების კარი დაეხშოთ და დღეს კი მ. დეკანოზს უკვირს; რაც არის ხალხი ცრუმორწმუნებო. დღეს თვითონ ხალხმა შეიგნო ეს და ამიტომ გადაუდგა სამღვდელოებას.”\*)

აშკარად სტყუვით, მ. გომართელო, ვითომ თქვენ და ოქვენმა მოციქულებმა კი არ დააჯერეთ ხალხი სამღვდელოების შესახებ, არამედ მათ დაგაჯერესთ და ოქვენ სწერთ მას რასაც იგინი გეუბნებიან. ასე შეგიძლიათ დქვენ მოატყუოთ გულუბრ

\*) ესეთი აზრი გომართელმა დღეს თვითონ უარჲყო.

ყველო გაზეოების მკითხევლები და არა სამღვდელოება და ხალხი, რომელმანაც ძლიერ კარგად იცის, თუ ვინ რას ეუბნება. მათ სარწმუნოებაზე და სამღვდელოებაზე. ხალხმა გასწავლა თქვენ ურწმუნოება თუ თქვენ ასწავლით მათ? თუ თქვენი ნათქვამი მართალია, რალასთვის აფრინე ზოგიერთ ადგილის თქვენი მოციქულები? დიალ, ამ ბოლო დროს ხალხმა აღიმაღლა ხმა და თქვენს მოციქულებს და შეადაგებლებს უთხრეს, რომ ეკკლესიაზე და სარწმუნოებაზე კრინტი არ დასძრათო, თორემ თქვენს სიტყვას არც ერთს არ მოვისმენთ და არც მიგილებთო. ზოგიერთნი კიდევ განაგრძობენ თავის ქადაგებას მყრუებული სოფლებში, ნათესაობის აღრევასაც ურჩევენ ხალხს! ზოგან თუ მათი ქადაგება სავსებით არ მიიღეს, ემუქრებიან კიდეც. ბატონ გომართელს დაზმანებია, რომ სამღვდელოება ხალხის კისერზეა დასკუპებული. ეს სიზმარი ნამდვილ მოვლენად მიაჩნია და არავითარ საბუთს თქვენგან აღარ იღებს იგი.

ვკითხავ კაცს: დაასაბუთეთ, დაგვიმტკიცეთ, განგვიმარტეთ, რით აბნელებს ხალხის გონებას სამღვდელობა, რით უსპობს ხალხს კეთილ დელებას? ის კაჭკაჭივით მაინც გაიძახის ერთსა და იმავეს — სახარება გადაასწორეს და ქრისტესაგან ნაქადაგები კომუნიზმი არ დაარსესო!.. ქრისტე ცოლის თხოვას უშლიდა ხალხსო და მღვდლები არ ქადაგობენ ცო-

ლების გასაზოგადოებასაო... ამისთანა კაცთან კამა-  
თობა სწორედ წყლის ნაყვაა და ბევრს აღარ გავუ-  
ვებით მისგან მოყვანილ სიტყვების უსაფუძვლობის  
დამტკიცებას

აბა მოისმინეთ კიდევ, ბ. გომართლის ბრძნე-  
ლი მოსაზრება:

„მე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ იესო  
ქრისტეს მიზანი იყო, ქვეყნად დაემყარებია სამოთხე,  
— რასაკვირველია, ისეთი სამოთხე კი არა როგორც  
შ. დეკანზე აქვს წარმლგენილი, არამედ სხვაგვა-  
რი. თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქვეყნად ქრის-  
ტეს სამოთხე, ამის გამოსაკვლევად საჭიროა ისტო-  
რიას მიმართოთ. რას წარმლადგენდა რომის საზო-  
გადოება იმ დროს, როცა იესო ქრისტე დაიბადა?  
ერთ მხარეზე იდგნენ მღიღრება, რომლებიც ური-  
ცხვი მონების წყალობით მეფურად ცხოვრობდნენ,  
გლეხ-კაცობა სრულებით გალატაკებული იყო. აუ-  
არებელმა ომიანობამ ხალხი ეკონომიურად სრუ-  
ლებით დასკა, სამაგიეროდ მონათა რიცხვი გამრავ-  
ლდა. მონა კიტრის ფასად გახდა. მონის ამგვარმა  
გამრავლებამა და სიიათემ სოფლის გლეხის შრომასა  
და მეურნეობას სრულებით გამოაცალა ნიადაგი და  
სოფლიდ გლეხობა მოსპობის გზას დაადგა. გალა-  
ტაკებული გლეხობა მიაწვა ქალაქებს. და რომის  
ქალაქები აივსო ურიცხვი ბოგანო პროლეტარია-  
ტით, ამგვარათ ურიცხვი ხალხი სიმშილით იხოცე-

ბოდა. პატარი ჯგუფი პატრიციებისა ფუფუნებაში  
ატარებდა თავის ცხოვრებას. აი, ამგვარ საზოგა-  
ლოებრივ ატმოსფერაში დაიბადა იქსო ქრისტე.  
უმთავრესი პრობლემა იქსო ქრისტეს დროს იყო  
სიღატაკის, პრობლემა, ვერც ერთი გონიერი და  
ხალხის გულ-შემატკივარი აღამმანი, ვერც ერთი  
მოლვაწე და მქადაგებელი ამ პრობლემას გზას ვერ  
აუხვევდა. ამ პრობლემის გადაწყვეტამ იმსხვერპლა  
წინად გრაკები, ამ პრობლემას მიაკუთა უმთავრესი  
ყურადღება ქრისტემაც. ქრისტეს უნდოდა სიღატა-  
კის მოსპობა, ქრისტეს უნდოდა უთანასწორობის  
მოსპობა, ქრისტეს უნდოდა საზოგადოების კლასე-  
ბად დაყოფის გაუქმება. და, რაღვანაც ყოველისავე  
ამას სარჩულად ედვა კერძო საკუთრება მოსახმარ  
ნივთებზე, მოსახმარ საშუალებათა უთანასწოროდ  
განაწილებას, ამიტომ იქსო ქრისტემ მოითხოვა მო-  
სახმარ საშუალებათა გასაზოგადოება — კომუნიზმი.  
აი ამას უწოდებ მე იმ სამოთხეს, რომლის დარსე-  
ბაც ქრისტეს უნდოდა ქვეყნად. ამგვარი კომუნიზ-  
მის განსახორციელებლად კისთვის უნდა მიემართა  
იქსო ქრისტეს? პირველად პროლეტარიატისთვის,  
პროლეტარიატს არაფერი ჯრ გააჩნდა და ამიტომ —  
იგი სულითა და გულით უნდა მიჰვებებოოდა და  
მიეგება კიდეც კომმუნიზმის ქადაგებას.

ბოგანო პროლეტარიატი სრულებით მოკლე  
ბული იყო პოლიტიკურ ძალას და ქრისტე კარგის

ხედავდა, რომ ამგვარი ლატაკები თავისი ბრძოლით  
ვერავითარ კომუნიზმს ვერ დაამყარებენ. ამიტომ მას  
უნდა მიემხრონ მდიდრებიც. ცხადია, ქრისტეს  
რომ პირდაპირ ეთქვა მდიდრებისათვის, თქვენი ქო-  
ნება ლატაკებს გაუნაწილეთო, მდიდრები ერყოდ-  
ნენ, რათ ჩემო, რის გულისთვისო. მაგრამ ქრისტემ  
თავისი მსმენელების ყურადღება მიაქცია საიქიო  
სამოთხეს. მას უნდოდა საიქიოს სამოთხეს. სურათით  
მდიდრები მოეხიბლა და გაეკომუნისტებინა. ამიტომ  
ქადაგებდა ქრისტე, მდიდარი სამოთხეში ვერ შევაო;  
ამიტომ ურჩევდა ის მდიდარს: თუ გინდა, რომ  
სრული იყო, გაყიდე შენი საცხოვრებელი და ლა-  
რიბებს დაურიგეო. რადგანაც მოსახლარ ნივთიერე-  
ბათა გასაზოგადოება აუცილებლად. მოითხოვდა  
ოჯახისა და ცოლქმრობის უარყოფას, ამიტომ ქრის-  
ტე ქადაგებდა: დაუტევეთ თჯახი, უთლი და დედმამარ.

„ვიმევორებ, თუ ხალხი მიემხრო ქრისტეს.  
კომმუნიზმს, იმიტომ რომ მაშინდელი ბოგანო  
პროლეტარიატისთვის ამგვარ კომუნიზმს ძალიან  
დიდი პრაკტიკული მნიშვნელობა ჰქონდა: ქრისტეს  
ქადაგებაში ხალხი გაიტაცა ამ ქვეყნიურ მა სარგებ-  
ლობამ და არა საიქიო სამოთხემ. ამას გვასწავლის  
ისტორიის მეცნიერება; ხუცესური მეცნიერება. კი,  
რა თქმა უნდა, სრულებით სხვას ამბობს. ქრისტეს  
რომ მართლა ამ ქვეყნიერი ცხოვრების ძირიანად  
შეცვლა არ მოეწადინებინა პროლეტარიატის სასარ-

გებლოდ, მდიდარნი ამ ქვეყნისანი და მთავრობა  
არც ამხედრდებოდნენ მის წინააღმდეგ და არც  
აცვამდნენ მას ჯვარს. ქრისტეს ომშ მართლა ისე  
ექადაგნა ხალხისათვის, როგორც შემდეგ დაამახინჯეს  
მისი მოძღვრება, ამ ქვეყანაზე ყოველისფერი მო-  
ითმინეთ, ყოველიფერი აიტანეთ, ყველას მონა-მო-  
რჩილი იყავით და სამაგიეროდ საიქიოს ცხონდებითო,  
მთავრობა და მდიდრები არა თუ მას ხელს არ ახ-  
ლებდნენ, დიდის სიამოვნებით მიეგებოდენ და  
ხელსაც კი შეუწყობდნენ ყოველგან ამგვარ ქალა-  
გებისთვის. დღეს კი სამღვდელოება, რომელიც  
ღატაკ ხალხისთვის წამებულს ჯვარცმას გულზე  
ატარებს, ღატაკი ხალხის მწამებელთ ამოდგომია  
გვერდით... ეს არის ქრისტეს მოძღვრების ასრუ-  
ლება?“

ერთხელ ერთი ხახამი ურია და მე ერთად  
მივდიოდით რკინის გზით. მე მინდოდა გამეგო, თუ  
ესმოდა რამე ამ ურიას ძეველი ალთქმის ისტორია-  
დან და ვკითხე ნოეზე, აბრამზე, მოსეზე და სოლ-  
ომონ მეცეზე. ჯერეთ გაჯიუტდა და არაფერი არა  
სთქვარა. ბოლოს თავისით დაიწყო: “ვინ იყო ნოე?  
ნოე, რჯულის მადმა, კარგი კაცი იყო. ერთხელ  
ნოემ დაპატიჟა აბრამი და მოსე, ნოემ კარგი ლვი-  
ნო მიიტანა და იმდენი დალია, რომ დაითრო”.  
ჩვენ ყურს კუგდებდით. მოყვა კიდევ და ერთად  
აალაპარაკა მოსე, ენუქი, იყობი, არონი და ვინც

მო გონდა: სწორეთ ეს ურია მომაგონა ბ გომარ-  
თელმა. რა მიაჩენინებს ჩვენს ექიმს რომში და  
მის ბოგანო ხალხთან რა საჭმე აქვს? რა პროლეტ-  
არები ეგულება რომში, რომელთაც კისერზე  
დასკუპებია სამღვდელოება და მათ გამოსახსნელად  
გამოაცხადებს რომში ქრისტეს!.. ბ. გომართელს  
ისიც არ სცოდნია, რომ ქრისტე დაიბადა ბეთლ-  
ემში და რომში არასოდეს არ უქადაგებია „მთა-  
ვრობა არ აცვამდა ჯვარზე, რომ ქრისტეს ექა-  
დაგა ამ ქვეყანაზე ყოველივე დაითმინეთ და ზეცაში  
მიიღებთო“, არ სცოდნია, ბ. გომართელს, რომ იესო  
ქრისტე ისე შორს იყო რომზე, რომ სრულებო  
არ გაუგიათ მისი ჯვარუმა რომში, რაც მოციქულე-  
ბიდან ქადაგებით არ გაიგონეს. თვითონ პილატეც  
მაცადინობდა გაენთავისუფლებია ქრისტე სიკვდი-  
ლისაგან, მაგრამ ბრძოს მოთხოვნილებას. დაემორ-  
ჩილა, რომელიც (ბრძო) წაქეზებული იყო ებრაე-  
ლების მწიგნობრებისა და ფარისეველთაგან. არ  
სცოდნია გომართელს, რომ ქრისტე ყოველთვის  
უარს გ ნაცხადებდა პოლიტიკურად ხალხს მართვა-  
გამგეობაზე. ამის შემდეგ მოსილოდნელია ბ. გო-  
მართელის დაუინება: სახარება ხუცებს გადუსწორე-  
ბიათო! წადით და ედავეთ ამისთანა კაცს სახარება-  
ზე!.. აიღეთ და ჰკითხეთ სოფლის სკოლის მოწა-  
ფეს, თუ ის უკეთესად არ მოგიყვეს ქრისტეს ჯვა-  
რუმის ისტორიას. გომართელს გონებია, რომ ქრისტე

რომის იმპერიატორმა და ბიუროკრატიამ აცვა ჯვა-  
რზე რომის პროლეტარიატებისათვის კომუნიზმის  
დაარსებობათვის. ვაშა თქვენს მეცნიერებას, ჩვენო  
საწყლოვანო ეჭიმო!..

ქრისტეს მოციქულებმა და წმინდა მამებმაც  
სწორეთ ისე გაიგეს მასწავლებლის მოძღვრება,  
როგორც მე აღვნიშნე, და არა ისე, როგორ მ.  
ლამბაშიძემ კა სამღვდელოებამ გაიგო. აიღეთ აპო-  
კალპისისი, რომელშიაც ის აზრია გატარებული,  
რომ სულ მალე მოვა ქრისტე: და ნერონი-ანტი-  
ქრისტეო. ქრისტე დაამარცხებს მას და ქვეყნად  
უკვდავებას. და ახალ იერუსალიმს დაამყარებსო. (!)

„მოციქულებმა დაამყარეს კომინისტური სა-  
ზოგადოება იერუსალიმში: ამ საზოგადოებაში არ  
იყენებ არც მდიდარი, არც ღარიბი და ყველას  
საერთო ჟენდა ყველაფერი: ყოველი წევრი ჰყიდ-  
და თავის საკუთრებას და აღებული ფლირ საზო-  
გადოების საკუთრებათ შეჰქონდა. წმინდა მამები  
ბათოლი, გრიგორი და ოქროპირი იოანნე ქადაგებ-  
დნენ ამგვარ კომუნიზმს და ებრძოდენ სიმღიდრე-  
სა და უთანასწორობას.

„ამგვარად ქრისტეს მოძღვრება არის ამქვეყ-  
ნიური ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა. ქრისტე  
იყო მტერი კლასთა დაყოფისა, ქრისტე იყო მტე-  
რი-უთანასწორობისა, ქრისტე მებრძოლი ბოგანო  
პროლეტარიატის ინტერესებისათვის. დღევანდე-

ლո სამღვდელოება აღგია თუ არა აშ გზას? არა,  
და არა!“

ჩვენ ბ. გომართლის პასუხი მოვიყვანეთ იმის-  
თვის კი არა, რომ დაუმტკიცოთ მას შემცდარი  
აზრი სახარებაზე და ქრისტეს მოძღვრებაზე, არა,  
ჩვენ მოვიყვნეთ მისი სიტყვები, რომ შევატყობი-  
ნოთ ჩვენ მკითხველებს უსუსური და შემცდარი  
აზრი ბ. გომართლისა სახარების სწავლა-მოძღვრე-  
ბაზე და იესო ქრისტესაგან დაარსებულ კომუნიზმ-  
ზე. ვისაც ესმის სახარება და იესო ქრისტეს სწავ-  
ლა-მოძღვრება, ცოტაორნად მაინც, თვითონ მიხვ-  
დება თუ რა შემცდარი აზრი ჰქონებია შედგენი-  
ლი ჩვენს გამოჩენილს ექიმს ი. გომართელს იესო  
ქრისტეს სწავლა-მოძღვრებაზე. აი ამისთვის მოვი-  
ყვანეთ ჩვენ ანდაზა: უბედურებაა, როცა ხარაზი  
მხარეულობას დაიწყებს და მხარეული ხარაზობას.  
პ. გომართელს სწორეთ ისე ესმის სახარების ზო-  
გიერთი ადგილებრ, როგორც სკაპუების სახარება-  
ში სწერია: „თუ შენი ასო გაცოუნებდეს, მოჭერი  
იგი და მოიშორე“. ხომ მოგეხსენებათ, ამ სიტყვის  
გამო რას ჩადიან სკაპუები? გომართელიც ასე თა-  
ვისებურად ხსნის სახარების სწავლა-მოძღვრებას!..

ბ. გომართელი ბრძანებს, „რაღგან მოსახმარ  
ნივთიერებითა გასახოვაოება მიუცილებლად მოით-  
ხოვდა ოჯახისა და ცოლექმნების უარეთვას, ამიტომ  
ქრისტე ქადაგებდა: „დაუტევეთ ოჯახი, ცოლი და-

დედ-მამაო“!.. ნეტავ სად ამოიკითხა ესეთი სიტყვები  
სახარებაში ბ. გომართელმა? სად ამბობს ქრისტე,  
რომ ქონების გასაზოგადოებისათვის დაუტევეთ  
დედმამა, ოჯახობა და ცოლებიო... ბ. გომართლის  
აზრით, როგორც სჩანს, ყოველივე გასაზოგადოებუ-  
ლი უნდა იყოს ქალებიც და კაცებიც!.. ზოგიერთი  
ვაჟბატონების ცოლებისათვის სწორედ საჭირო აღარ  
არის ამისთანა „გასაზოგადოებაზე“ ქადაგება!?.

სტყუვდებით, ბ. გომართელო, თუ იმას ფიქ-  
რობთ, რომ ისე უკულმართად გაეგოსთ ქრისტეს  
ქადაგება მოციქულებს და წმიდა მამების, როგორც  
თქვენ გაგიგიათ! განა მოციქულებს და წმიდა  
შამანები თქვენსავით ქადაგებდნენ: ღარიბებმა-  
შეძლ ებულთ წართვით მათი ქონება და მოიხმარე-  
თო? ამნაირ კომუნიზმს ქადაგებდა ქრისტე?

რა წიგნია, ბ. ექიმო, აპოკალპისისი? უისი  
დაწერილია იგი და როდის? თქვენ, ვგონებ, გინდათ  
რამე სთქვათ იოანნე ღვთის-მეტყველის გამოცხადე-  
ბაზე, რომელიც იწოდება აპოკალპისისად კი არა,  
არამედ აპოკალიპსისად. სცედება ბ. გომართელი თუ  
იოანნე მანარებლის განცხადება, წინასწარმეტყველობა  
მომავალი დროისათვის, ქრისტეს ქვეყნად მყოფობის  
დროს აღსრულებულად მიაჩნია. ბ. გომართელს  
ჰქონია, რომ იოანნეს გამოცხადება ქრისტეს და  
მოციქულების წინეთ იყო დაწერილი და ახალი  
იყრუსალიმის მოციქულებშა ქრისტეს ქადაგებით

კიდევ დაარსესო!!! სცდებით, ბ. ი. გომართელო  
სახარების აღხსნა და განმარტება და თქვენი აპოკალ-  
პისის განმარტება ისე საადვილო როდია, როგორც  
საადვილოდ მიგაჩნიათ მუშუკების გაკვეთვა და გა-  
მორწყვა. სამღრთო წერილების შესწავლა და ღვთის  
მეტყველების საგნების ცოდნა ისე საადვილო არ  
გხლავსთ, როგორც უბრალო რეცეპტების წერა...  
ვერასოდეს ვერ შეედრებით გრაფ ლ. ნ. ტოლს.  
ტოის მწერლობაში, მაგრამ ხომ იცით ესეთი  
ნიჭიერი სწავლული კაცი ისე დაიბნა და ისე შეცდა  
ხოლმე საღვთისმეტყველო საგნებში, როგორც სა-  
სულიერო სასწავლებლის მდაბალი კლასის შაგირდი.  
გარშმუნებთ პატიოსანი სიტყვით, რომ მე მრცხვენია  
თქვენმაგიერად თქვენგან წარმოთქმული აზრებია-  
თვის ქრისტეს სწავლა-მოძღვრების შესახებ და  
აპოკალიპისის ახსნა-განმარტებისათვის. თქვენ შევიძ-  
ლიათ შესცდეთ ისე, როგორც სკაპცები და სხვა  
მწვალებლები სცდებიან, მაგრამ თქვენი თანამოაზ-  
რეობა მოციქულებთან და წმიდა მამანებთან მეტის-  
მეტად ახირებული და სასაცინოა. ბ. გომართელის  
აზრით, ახალი იერუსალიმი თურმე კიდევ კარსე-  
ბულა და ანტიქრისტე ნერონი ყოფილა! ვაშა, ი.  
გომართელო, თქვენს მეცნიერებას საღმრთო წერი-  
ლის სიტყვების მშვენიერი განმარტებისათვის!.

„ბ. ლამბაშიძე, ბრძანებს ექიმი გომართელი,  
მოხოვს ყოველივე ეს განვითარტე, თორემ სამედია-

ტორო სამართალში გაგიწვევთო. რაღაც ყველა  
ამ კითხვებზე თავისუფლად წერა შეუძლებელია, (?)  
ამიტომ მე სიამოვნებით ვთანახედები სამედიატორო  
სასამართლოზე. ჩემის მხრით, ვასხელებ ბ· ბ. ლადო  
მესხიშვილს, სერგო რობაქიძეს, იასონ ნიკოლაიშ-  
ვილს და სიმონ ქვარიანს. ამ პირებში, რამდენ ც  
და ვინც ნებავს, ჩემის მხრით ისინი დაასახელოს  
მ. ლამბაშიძემ და თავის მხრით იმდენივე აარჩიოს  
თვითონ, ვინც უნდა, მე წინდაწინვე თანახმა ვარ.  
მხოლოდ მისი მხრით მე არ ვდებულობ არც ერთ  
სასულიერო პირს, ან სასულიერო დაწესებულებაში  
მოსამსახურეს, როგორც დაინტერესებულ მხარეს.  
შედიატორებმა უნდა განიხილონ ყველა ის მუხლე-  
ბი, რომლებშიც მე ვამტყუნებ სამღვდელოებას“.

საჭირო იყო ბ. გომართლისაგან, რომ მისგან  
აღრჩეული მედიატორების წვერები სრული აღრე-  
სებით დაესახლებია. ლადო მესხიშვილი, სერგო  
რობაქიძე და იასონ ნიკოლაიშვილი, ვინ არიან, არ  
ვიცი. ამ სახელით რამდენიმე პირები არიან. და არ  
ვიცით, ვინ ვიგულისხმოთ? სიმონ ქვარიანს ვიცნობთ  
— აგრონომიის ნაწილზე აქვს მიღებული. საშუალო  
სწავლა, რობაქიძე და ნიკოლაიშვილი, ამბოენ, სა-  
მასწავლებლოს სემინარიის კურსი აქვთ გათავებულიო  
და ლადო მესხი, ზოგი ამბობს მსახიობი მესხი არი-  
სო, არ ვიცი, სად აქვს სწავლა მიღებული. ამას  
იმიტომ მოგახენებთ, ბ. გომართელო, რომ ჩვენგან

დაწიშნული მედიატორები უნდა იყვნენ ფილოსო-  
ფიის და ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხისა  
თუ არა, უთუოდ მაღისტრი ან კანდიდატები მაინც.  
უნდა იყვნენ მაღალი სწავლის მიმღებნი და არა  
ვიღაცა სოფლის მასწავლებელნი და საშუალო და  
ისიც სამასწავლებლო სემინარიაში სწავლა დამ-  
თვრებულნი. თუ საკმაოდ მიგაჩნიათ თქვენ მედია-  
ტორებისაგან გამოთქმა მხოლოდ იმისა, რომ იგი-  
ნი თქვენი თანხმა არიან ყოველივეში მაშინ მოტ-  
ყუებული ბრძანდებით. მედიატორებს უნდა ესმო-  
დეს ფილოსოფიის და საღვთისმეტყველო საგნები,  
უნდა ესმოდეს ზედმიწევნით სახარების სწავლა-მო-  
ძღვრება და ჩვენი ეკკლესიის დოდმატებიც უნდი  
კარგად ჰქონდეს შესწავლილი; აგრეთვე უნდა ცო-  
დნენ მღვდლის მოვალეობა ხალხისა და ღვთის წი-  
ნაშე. ესლა გვიბრძანეთ, რომელმა იცის ეს საგნე-  
ბი თქვენგან დასახელებულმა პირებმა? ლადო  
მესხმა თეატრში წარმოდგენების საქმე, ბ. ს. ქვარიან-  
მა ვენახის დამყნისა და ორმა დანარჩენებმა სწა-  
ვლება, საგნების გადაცემა მოსწავლეთათვის, შესაძ-  
ლებელია ზედმიწევნით იცოდნენ, მაგრამ იმ კით-  
ხვების ახსნის და განმარტებისა, რომელნიც აღძ-  
რულნი არიან მე და თქვენ საკამათო საგნების  
გამო, იმდენი იციან რამდენათაც თქვენ იცი  
ჩინური და არაბული ენები, მიკვირს, რომ ამისთა-  
ნა სერიოზულ კითხვების განსამარტებლად თქვენ

არ დანიშნეთ არც ერთი მაღალი სწავლის მიმღები. მაგრამ მე არა მაქვს უფლება დავიწუნო და არ მი-ვიღო ნორმალურ და სოფლის სკოლაში კურს და-მთავრებულებიც კი. ჩვენ მხოლოდ ერთი რამე გვა-კვირვებს. რომელი უფლებით და რა საფუძვლით არ გვაძლევთ ნებას, ბ. გომართელო, რომ სასუ-ლიერო პირი, ან ოდესმე სასულიერო წოდებაში მოსამსახურე ერის კაცი არ დავნიშნოთ მედიატო-რედ. 3. იმანე გომართელს არ სურს მაღალი სწავლის მიმღებნი დაინიშნონ მედიატორებად და არც ჩვენ გვაძლევს უფლებას, აღვირჩიოთ მედია-ტორედ მღვდელი, ან ერის კაცი, თუ ოდესმე სასულიერო უწყებაში მსახურებდა იგი\*). ბ. გომარ-თლისაგან უარის განცხადება, რომ ის არ მიიღებს არც ერთ მღვდელს და არც ერთ ერის კაცს, თუ ოდესმე სასულიერო წოდებაში უმსახურია, პირ-დაპირი უარის განცხადებაა. მისგან მედიატორის სამართალზე. შემცდარი ბრძანდება გომართელი თუ იმას ფიქრობს, რომ კირკიტაძეები და რობაჭი-ძეები უფრო კარგად განმარტებენ ჩვენს საკამათო კითხვებს ვინემ მაღალი სწავლის მიმღებნი. უსა-ფუძვლოა გომართლის აზრი, რომ ჩვენ საკამათო კითხვებს პირადი ხასიათი ჰქონდეს...

\* ) ესეთი სურვილი გომართლისა ცხადათ ამტკიცებს მის ახირებულ და შემცდარ მსჯელობას.

„როცა მ. ლამბიშიძემ გაიგო, რომ მე საიქაო  
არა მწამს, თავმომწონედ მიპასუხა: სთქეა უგნურმა  
გულსა თვისსა არა არს ლმერთიო. ალბად ეს მას  
დიდ საბუთად მიაჩნია. მე კი ვაუწყებ მ. დეკანოზს  
რომ ეს საბუთი კი არ არის. გულის მოფხანაა,  
როგორც ყოველივე გინება, და შეიძლება ეს სიტ-  
ყები მის წინააღმდეგაც გადავაბრუნოთ... მე არა  
მწამს, მერე თქვენ რა კუჭი გეწვით? ვისაც სწამს,  
დევ სწამდეს. ხოლო როდესაც მ. დეკანოზი ამტ-  
კიცებს, გომართელი ასე ლაპარაკობს, თორემ საქ-  
მით კი ყველაფერი სწამსო, და ამის საბუთად ჩემი  
ბავშვის დამარხვას ასახელებს ეკკლესიის გალავანში,  
ეს კი საოცარი ლოლიკაა. ჩემი ბავშვი მე თუ კო-  
ცხალი მიყვარდა, მკვდარი კილევ უფრო მიყარს  
და, მე თუ მინდოდა, რომ მისი საფლავი ახლოს  
მქონოდა, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მე ფარისე-  
ველი ვიყო, ან მორწმუნე კაცი.“

ფარისეველია ის კაცი, რომელიც სიტყვით  
ამბობს და საქმით არ ასრულებს. თქვენი ურწმუ-  
ნოებით კუჭი ტრავის ეწვის, დამშვიდდით. ბ. გო-  
მართელს, რომ პირდაპირ ჩვენი სიტყვები მოეყვა-  
ნა მაშინ ყველა დაინახვდა, რომ არავითარი ულო-  
დოიკობა არ ყოფილია ჩვევს სიტყვაშა. ბ. გომარ-  
თელმა სთქვა, რომ მას საზენაო არა სწამსარა და  
ამით ყველა ეკკლესიური წესები ამაო მორწმუნეო-  
ბად მიაჩნია. ჩვენ ურჩევდით მას მტკიცედ

ასრულებას თავის სიტყვისას. ვინაიდგან საზენაო არა გწამთ-რა რაღათ აწუხებთ მღვდლებს ამ „ამაო მორწმუნოების“ აღსასრულებლად? რაღათ აწუხებთ სასულიერო და საერო მთავრობას თხოვნებით, რომ ეკულესიაში, ან ეკულესის გალავანში დაგამარხვიონ გარდაცვალებული ბავში? რას უნდა გამოელოდეთ ეკულესის, გალავნიდან? ბ. გომართელი, აი როგორ მართლულობს თავს. მეჩემი შვილი მკვდარიც მიყვარსო (სხვებს თურმე ყველას სძულებია!). და მინდოდა ახლოს ყოფილი-ყო მისი საფლავით. განა ექიმს გომართელს. არ შეეძლო უფრო ახლოს ყოლებოდა გარდაცვალებული?. სახლში რომ შეენახა ვინ რას ეტყოდა? განა გომარელი ყოველთვის ახლოს იქნებოდა მთავარსანგელოზის ეკულესიაზედ? აი, მართლა თქვენს სიტყვებში არ არის არავითარი ლოლიკა!..

„ბ. დეკანოზი მიკიუნებს: მღვდლები წელიწადში ოც თუმანს ძლივს იშოვნიან, თქვენ კი დღე-ში ხუთ-ათ თუმანს იშოვნითო. მის პირს შაქარ, — მეტი რა გვეთქმის ქუთაისის ექიმებს! უნდა ვა მოვტყდე, აქ მამა ლამბაშიძემ მაჯობა: მე ვერ გავაშიშვლე იმდენად სამღვდელოების საკითხი, რამდენადაც მან! სამღვდელოების საკითხი შეიცავს თუ მხარეს: მატერიალურსა და ზნეობრივს. მე ლაპაკი მქონდა და მაქვს მხოლოდ ამ ზნეობრივ მხარეზე და არა მატერიალურზე. დღეს სოფლის სამღვ-

დელოება რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი  
არ არის, ის მ. დეკანოზზე არა ნაკლებ მეშმის და  
სწორედ ეს გარემოებაც ისევ იმას ამტკიცებს, რომ  
სამღვდელოება კი წარმოადგენს იმგვარ წოდებას,  
სადაც სრული უთანხმოება სუფეეს, — დაბალ მოხე-  
ლეებს ჰშიანთ, მაღალი მოხელეები კი ფუფუნება-  
ში არიან, კარეტებით დასეირნობენ და თანასწო-  
რობისა და სათნოების მქადაგებელთ ბერებიც კო-  
ზლაზე ჰყავთ ხოლმე წამოსკუპებული! მე უსაყვე-  
ლურებ სამღვდელოებას; შენ არ დადექი ქრისტეს  
გზას; არ შეუწყე ხელი თანასწორობის დამყარება-  
მეთქი, და მამა დამბაშიძე კი ახე არღვევს ჩემს საუკუ-  
ლურს: სამღვდელოებამ თავის შორისაც ვერ დაარსა  
თანასწორობათ!\*) კი ბატონი, მჯერა, მაგრამ ეს ისევ  
სამღვდელოებას ამტკიცებს და ისევ იმას ამტკი-  
ცებს, რომ სამღვდელოებამ ქრისტეს მოძღვრებას  
თითონვე გადაუხვია“:\*\*)

გ. გომართლის ეს სიტყვები მხოლოდ ამტკი-  
ცებენ, რომ წერის სურვილი აქვს ნამეტნავად აშ-  
ლილი და ვერ გასძლებს ისე თუ ერთი ერთმანეთს  
არავინ წარმოასკუპა ან კისერზე და ან ფაიტონის  
კოზლაზე! აბა თუ ერთი იოტის ოდენა სიმართლე  
არის თქვენგან წარმოთქმულ სიტყვებში, გ. გომარ-

\*) არასოდეს ეს ჩვენ არ გვითქვამს ეს არის აშკარა  
ცილის-წამება გომართლისა.

\*\*) დარწმუნებული ვართ თვითონ გომართელს არ ეს-  
მის რის დასამტკიცებლათ მოყავს ეს უმნიშვნელო აზრები  
და სიტყვები და რას ამტკიცებს ამ სიტყვების რახა-რუხით,

თელო, დაგვისახელეთ, ერთი შემთხვევა მაინც, რო-  
მელი ბერი იყო „კოზლაზე“ დასკუპული თანასწო-  
რობის მოქადაგისაგან? როდის და სად? თუ ერთ  
ბერს დაგვისახელებთ კოზლაზე წამოსკუპულს ჩვენ  
თავს გავიმტკუნებთ თქვენს წინაშე... დაგვისახე-  
ლეთ ბ. ი. გომართელო, რომელ აღგტლას ეწერა  
ჩემს პასუხში, რომ სამდვდეჭოებამ თავის შორისაც  
გერ დაარსა თანასწორობა მეთქი. სირცხვილია განგებ  
შეთხზული ტყუილი სიტყვები კაცს მიაწეროთ და  
იმაზე ააშენოთ თავის ყალბი გამართლება... ესეთი  
ტყუილი ექიმს კი არა, უბრალო კაცსაც არ  
ეკადრება...

„არა, მამაო! ეს ლვაწლი კი არ არის, ეს არის  
ხალხის დაბრმავება, ხალხის აზროვნების ცრუ და  
მის დამღუპველ გზაზე შეყენება. კი ბატონო იყვ-  
ნენ და არიან კარგი მღვდლები, იყვნენ და არიან  
კარგი მღვდელმთავრები; გაბრიელ ეპისკოპოსს მამა  
დეკანოზე ნაკლებ არ ვაფასებ; ბევრი ჭმინდა მა-  
მების ლვაწლსა და სახალხო სამსახურს, თავგამეტე-  
ბულ მოღვაწეობას მე სხვაზე ნაკლებ არა ვხედავ,  
მაგრამ სამღვდელოება აქ რა შუაშია? ერთი და  
ორი მერცხალი განა გაზაფხულს მოიყვანს? კი ბა-  
ტონო! იყვვნენ მღვდლები და მღვდელმთავრები  
ნამდვილი ქრისტიანები, იყვნენ განსაკუთრებით  
ქრისტიანობის ჰირველ ხანებში, მაგრამ ის დრო  
წავიდა, დღესაც არიან ნამდვილი ქრისტიანი სა-

სულიერო პირნი, მაგრამ საერთოდ სამღვდელოება  
არ არის. ამას ვამბობდი და დღესაც ვამბობ; აღარ  
ვიტყვი მხოლოდ მაშინ, როდესაც დღევანდელი  
სამღვდელოება ქრისტესავით აღამალლებს ხმას  
ხალხის სასარგებლოდ და ხალხის მტრების წინა  
აღმდეგ. კი ბატონი! იმისთანა პირები, როგორიც  
ეპისკოპოსი გაბრიელი, ებრძოდენ და ებრძვიან  
ძლიერის სიტყვით ხალხის მტრებს, მაგრამ ეს ხომ  
იმას არ ნიშნავს, რომ სამღვდელოებაც ამ გზას  
აღვია??.

„მ. დეკანზმა ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ჩემი  
შეცდომა მაინც ვერ აღნიშნა (!?). მ. დეკანზი  
კიდევ აპირობს ლაპარაკა და ალბად ვერც მაშინ  
აღნიშნავს ჩემს შეცდომებს. მე კი დიდი შეცდომა  
შომივიდა აღნიშნულ წერილებში და ისევ მევე  
უნდა იღვნიშნო: მე საწყალს იმედი მქონდა, რომ  
სამღვდელოება დღეს ამგვარ დიად მომუნტში მაინც  
შეივნებდა თავის შეცდომას და ხალხის სასარგებ-  
ლოდ და ხალხის მტერთა წინააღმდეგ აღამალლებ-  
და ხმას!“

ამას წინეთ ასე არ ბრძანებდით, მ. ექიმო,  
ერთო კაციც არ გამოგირიცხავსთ მთელი სამღვდე-  
ლოებისაგან. ქრისტეს შემდეგ მოციქულებიც და  
მწიდა მამანებიც ხალხის ზურგზე დაკუპებულიდ  
გამოიყვანეთ. ეხლა, მაღლობა ღმერთს, მოციქულე-  
ბის ჭოლვაწეობაც, წმიდა მამანების ქადაგებაც ირ-

წმუნეთ და ზოგიერთ მღვდელმთავრებისა და მღვდების მოღვაწეობაც კი აღიარეთ. მე დარწმუნებული ვარ, კაცი რომ გაგიჩნდებოდეს და ოქვენ უკულმართ შეხედულებას სახარების სწავლა-მეცნიერებაზე საფუძვლიანად განვიმარტებდეს, სრულებით უარს იტყვით ოქვენ გამოთქმულ აზრზე სამღვდელოების შესახებ საზოგადოდ. დარწმუნდებით კი-დეც, რომ ამ სამღვდელოებაზე მეტი ხალხისთვის ოქვენ არა გაგიკეთებიათ-რა და ვერც გააკეთებთ. გაბრიელ ეპისკოპოზე აფასებთ, რადგან მისი ქადა-გებანი არ წაგიკითგავსთ, დარწმუნებული ვარ მისი ქადაგებანი, რომ წაიკითხოთ მაშინ არა ოუ და-აფასებთ, არამედ ბიუროკრატიის მდაბალ სურვილის აღმასრულებლად დასახავთ და შეაჩვენებთ ოქვენე-ბურად!.. წაიკითხეთ მისი სიტყვა, რომელიც მან 1888 წელში უთხრა ქუთაისის საკრებლო ტაძარში ხელმწიფეს, წაიკითხეთ მისი ქადაგება, ოქმული 6 ნო-ემბერს 1875 წელს ქუთაისის საკრებლო ტაძარში. დასასრულ წაიკითხეთ მისი ანდერძი და სხვა ქადა-გებანი და შემდეგ გვითხარით ის, რასაც ეხლა ბრძანებთ...

გირჩევთ, ჩვენო „ჩინებულო“ ექიმო, დაუკვირ-დეთ კარგათ თავის ნათქვამს და დაწერილს. კაცის მკვდრის სხეულში თუ ეძებ სულს და ღვთის. დანახვა გსურს, გარწმუნებთ, ვერასოდეს ვერ დაინახავთ ხორციელის თვალით ღვთის და სულის დასა-

ნახავად კაცს აქვს მინიჭებული გონების თვალი და, ვისაც იგი არ დაბნელებია, ცხადათ ხედავს მას, რასაც თქვენ ასე უარს ჰყოფთ, ცხადად ხედავს რომ სულიერი მოთხოვნილება კაცისა. უაღრესია ხორციელ მოთხოვნილებაზე. სარწმუნობა და საზენაო სწავლა-მეცნიერება ხალხს იხსნის ხრწნილებისაგან, როგორც მარილი იხსნის სხეულს სიდამპლისაგან. ამას გვიმტკიცებს ჩვენ ქრისტე და ხალხის მსოფლიო ისტორია. თქვენ შეგიძლიათ აუგოთ, განკიცხოთ სამღვდელოება, როცა ისინი ლირსნი არიან განკიცხვისა (ისინიც კაცები არიან და არ ა ანგელოზები). მაგრამ უარის ყოფა ყოველივე საზენაოსი და სულიერი არსებობისა — დიდი შეცდომა არის და თქვენს დიდ უვიცობას ამტკიცებს...

უნდა იცოდეთ, ბ. გომართელო, რომ ექიმობა, ლვთისმეტყველობა, ფილოსოფოსობა, პუბლიცისტობა, მარქსისტობა, ვარსკლავთ მრიცხველობა, ხუროთ-მოძღვრაბა, გეოლოგობა და სხვადასხვა მეცნიერება ერთი კაცის თავში ვერ მოთავსდება. სირცხვილია ვარსკლავთ მრიცხველობა დაიჩემოს კაცმა, რომელსაც ეს მეცნიერება არ უსწავლია. სირცხვილია მხედრობა დაიჩემოს კაცმა, თუ მას თოფი არ უსროლია თავის დღეში. სირცხვილია კაცმა ექიმობა დაიჩემოს, რომელსაც საექიმო სწავლა მეცნიერება არ მიუღია. სწორეთ ასეთივე

სირცხვილია კაცი ღვთისმეტყველობას ჩემობდეს, რომელსაც საღვთისმეტყველო მეცნიერება არ უსწავლია\*).

ჩვენ სრულებით არ ვეხებით გომართელის ნაწერებს იმ საგნების შესახებ, რომელიც შეუსწავლია და ზოგიერთი მის ნაწერები კიდევ მოგვწონს, მაგრამ, სახარების, საღრმთო წერილის და მის სწავლა-მოძღვრების განმარტებანი, სწორედ სასაცინოა. რატომ? მიტომ, რომ იგი მას არ უსწავლია და არც იცის.

უკანასკნელად ვურჩევთ ბ. ი. გომართელს დათანხმდეს, რომ მედიატორებათ ნასწავლნი პირნი დაინიშნონ, რომელთაც შეეძლოსთ ამისთანა სერიოზულ კითხვებზე მსჯელობა და არა ვიღაც სოფლის მასწავლებელნი, რომელთაც საშუალო სწავლაც არა აქვსთ მიღებული. ამისთანა სერიოზული საკითხების გამოსაკვლევად და განსამარტებლად მეცნიერების ხარისხოვანი, ლრმად ნასწავლი პირებია საჭირო და არა ამერიკანული ვაზის დამყნელები, აქტიორები და აქტრისები...»

თუ ნასწავლი კაცების მედიატორებად დანიშვნაზე დასთანხმდება, ბ. გომართელი, მაშინ, ვსითხოვთ

\* ) გომართელის უბედურობაც იმაში მდგომარეობს, რომ ებლაუჭება ისეთ საგნების ცოდნას, რომელიც არ უსწავლია და აგერ ბოლოს, რომ მიხვდება თავის შეცდომას, ოსტატურად, მოხერხებულად უარს ყოფს თავის სიტყვებს.

მას, ჩვენც მოგვცეს ნება ვინც გვსურს ის დავნიშნოთ, რაღან ჩვენი საკამათო საგანი საზოგადო კითხვაა და მათ აღხსნა-განმარტებაზე ყველა ერთად არიან დაინტერესებულნი სასულიერონიც და საერონიც. თუ ამ წინადადებას არ დასთანხმდება, ბ-ნი გომართელი, ეს იქმნება იმის დამამტკიცებელი, საბუთი, რომ იგი უარს აცხადებს მედიატორეების დანიშვნაზე. მაშენ საზოგადოებისათვის მიმინდვია. თავისი მსჯავრი დასდვას გომართელის ამ მოქმედებას და მსჯელობას...

გაგრძელება 1910 წლისა.

1905 წელში, ესრეთ წოდებულ განმათავისუფლებელ ხალხის მოძრაობის დროს ჩემი განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია, საზოგადოდ ხალხის რაღაცა აჩქარებულმა და შემცირარმა აზროვნება—მოქმედებამ და, განსაკუთრებით ივანე გომართლის გატაცებულმა მსჯელობამ კონსტიტუციის დაარსების შესახებ და სამღვდელოების წინააღმდეგ ამხედრებამ. 1905 წელში ჩვენ გამოვეკამათეთ მას და მოვსთხოვეთ კიდეც პასუხი, მაგრამ იგი პასუხის მოცემის მაგიერ ამახინჯებდა ჩვენს ნათქვამს და ამ დამაახინჯებულ სიტყვებზე სწერდა გრძელ სტატიებს „ივერიაში“ თავის გამართლების შესახებ. გომართელი თავისას ლაპარა-

კობრა და სწერლა, თორემ კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. ზოგიერთმა გომართლის თაყვანის მცემლებმა მუქარის წერილებიც გამომიგზავნეს და მაფრთხილებდენ; რომ მის წინააღმდეგ არაფერი დაგვეწერა, რადგან მათის აზრით სრული კონსტიტუცია მისის მეოხემით მაღლ უკვე დაარსდებოდა!.. ჩვენ სრულებით ყურადღება არ მივიქცევია ამ წერილებისათვის და ყოველთვის გულ ანდილად ვლაპარაკობდით და ვსწერდით, რომ ის მოძრაობა, რომელიც 1905 წელში იყო ჩევოლიუციონური მოძრაობა არ იყო და დიდათ შემცირნი იყვნენ ჩვენი „რეფორმატორები“.

ბევრმა პირებმა გვთხოვა ჩვენ დაგვებეჭდა პატარა წიგნაკად ყველა სტატიები რაც იყო და ბეჭდილი ჩვენგან 1905 წელში გომართელის შესახებ.

დღეს ბ. გომართელმა იჯმნა ე'შმაკისაგან და თავისი შემცირარი აზრები განაქის საზოგადოების წინაშე „ფონის“ გაზეთში. დიდი ღირსება არის თავისი შეცდომის აღიარება, მაგრამ აღსარება უნდა იყოს გულწრფელი. გომართლის აღსარებას კი გულწრფელობა აკლია, სწორეთ ამიტომ დავბეჭდეთ შეუცვლელად სამივე წერილი, დასტამბული 1905 წელში ახალი პასუხით.

ჩვენ უმტკიცებდით ბ. გომართელს სხვათ შორის, რომ ის ხშირად იცვლის აზრებს და ამით

ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება მის სწავლა —  
მოძღვრებას და პუბლიკისტურ სტატიებს..

გომართელი დიდ მოკავშირედ სოვლიდა თას  
ვის თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან.  
როცა დუმაში შეხვდა ორიოდე სიტყვის  
თქმა თავის წინაპრებად დახატა ვარიაგებთან გაგ-  
ზავნილი რუსების დეპუტატია, რომელიც ითხოვ-  
და მათგან წესიერების დაძიარებას რუსეთში. ამ  
სიტყვებისათვის ურთმა სათათბიროს დეპუტატმა კი-  
დეც შეუყვირა და საკადრისი სიტყვები უთხრა  
მას... ბოლოს პირველი სათათბიროს დეპუტატებ-  
მა თავი ისახელეს ფიბორგის „მანიფესტით“ და  
სხვათა შორის ჩვენმა დეპუტატმა გომართელმაც  
თავი ისახელა... ჩვენის აზრით საჭირო იყო ყვე-  
ლა ის შემცირა აზროვნება ცხადად დაგვემტკიცე-  
ბია ბ. გომართლისათვის, რომელსაც იგი იჩენდა  
1905 წელში, რომ შემდეგშე მაინც ასცილ-  
ებოდა მოუფიქრებლად მსჯელობას და ისე-  
თო სერიოზული საკითხების გარდაწყვეტას, რომელ-  
თა გარდაწყვეტა არათუ ახალგაზღა გამოუცდელ  
ექიმებს, არამედ დიდ გამოცდილ ფილოსოფებსაც  
ეძნელებათ. ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია, რომ და-  
წვლილებით გამოუდგეთ მის წინანდელ შემცირ  
აზრების დამტკიცებას. ბ. გომართელმა, რო-  
გორც შენანებულმა ცოდვილმა კაცმა მოძღვრის

წინაშე, განაქიქა თავის შემცდარი აზრები ბეჭვდი-  
თი სიტყვით და დაუმტკიცა ყველას, რომ ის შემ-  
ცდარი იყო 1905 წელში, რასაც ფიქრობდა და  
აზროვნებდა, დიდ შეცდომათ მიაჩნა ვიბორგის  
მანიფესტი და სრულებით აღიარებს, რომ რუსეთ-  
ში რევოლუციონური მოძრაობა კი არ ყოფილა  
კონსტიტუციის დასაარსებლად, არამედ „ბუნტი და  
აჯანყება“ იყოვთ.

„სჯობს თვითონ ბ. გომართელი ვალაპარაკოთ  
და მოვაყოლოთ თავის ცოდვების განქიქებას: ავი-  
ლოთ ნომერი „ფონის“ გაზეთის 1909 წლისა  
№ 10. აი რასა სწერს ბ. გომართელი ამ გაზეთში.

როდესაც მე ვითვალისწინებ, ვუკვირდები  
რუსის ხალხის ცხოვრებას, იმის წარსულს, ჩემთვის  
ცხადი ხდება, რომ რუსის ხალხი არც პოლიტიკუ-  
რათ, არც გონიერივათ წინ არ მიღის. მაშ ეს  
მდიდარი ლიტერატურა რა არის? პუშკინი? ჭობ-  
ტოვსკი? ტოლსტოი? რუსეთის მდიდარი ლიტე-  
რატურა არც იმდენათ მდიდარია, როგორც პირ-  
ველის შეხდვით გამოუცდელ მკითხველს ეჩვენება,  
ის ბევრში ნაყოფია დასავლეთ ევროპის ლიტერატ-  
ურისა. ყოველ შემთხვევაში ეს ლიტერატურა  
მხოლოთ იმას გვიმტკიცებს, რომ რუსეთში არის  
საკმაოთ დაწინაურებული ინტელიგენცია, რომე-  
ლისაც ხალხთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ხალხისა ამ ინტელეგენციის არ ეყურება, ხალხსაც  
მისი არა ეყურება - რა. ინტელიგენცია იკვებება  
ევროპის აზრით, ის სცხოვრობს ევროპის იდეალ-  
ებით; ხალხი-კი სცხოვრობს ისე, როგორც თუნდა  
ივანე მრისხანეს დროს, გულში შიში აქვს გამჯ-  
დარი, გონებაში მორჩილება, იდეალები კი არ  
გააჩნია.

ვინც ჩაჰვირვებია რუსის ხალხის ისტორიას,  
ერთი მოვლენა ექნება შემჩნეულის რუსეთის  
ისტორიაში რევოლუცია არ იცის. მაშინ, როდესაც  
ევროპის ყველა ხალხში განიცადა რევოლუცია,  
რუსეთში არ მომხდარა რევოლუცია. რუსეთში  
ყოფილა მხოლოთ „ბუნტი“. წარსული მოძრაობ-  
აც მხოლოთ ბუნტი იყო და თუ მას მაინც რევო-  
ლუციის უძახიან, მხოლოთ იმიტომ, რომ თავი  
ინუგეშონ, ან მოაწონონ სხვას: ჩვენც ვიცით  
რევოლუციაო, რათი განირჩევა „ბუნტი“ რევო-  
ლუციისაგან? რევოლუცია არის აჯანყება უმრავ-  
ლესობისა პოლიტიკურს, საოწმუნოებრივს, გონე-  
ბრივს და სხვ. სფერაში, ხოლო „ბუნტი“ კი არის  
აჯანყება უმცირესობისა. ბუნტი ძვირათ თავდება  
გამარჯვებით, და თუ გათავდა გამარჯვებით, ეს  
უკანასკნელი ხანგრძლივი არ არის, რადგანაც ის  
უმრავლესობაზე არ არის დამყარებული. რევოლ-  
უცია კი არასოდეს არ თავდება სრული დამარცე-  
ბით და ეს ცხადიც არის: როდესაც უმრავლესობა

იბრძვის, შეუძლებელია რომ რამე — თუნდა სულ  
მცირებულია — არა მოიპოვოს რა.

რა მოვიპოვეთ ჩვენ? სრულებით არაფერო.  
პირიქით, რაცა გვქონდა, იქიდანაც დავკარგეთ  
ამგვარათ მხოლოთ ბუნტი თავდება და არა რევო-  
ლუცია.

მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმე ან  
რამე დავამცირო, მე მხოლოთ იმის აღნიშვნა  
მინდა, რომ რუსის ხალხს რევოლუცია არ ეხერხება;  
რუსის ხალხს არა აქვს ის ხასიათი, ის ტემპერამე-  
ნტი, ის ფსიხოლოგია, რაიცა რევოლუციისათვის  
არის საჭირო.

როდესაც რუსეთის სხვადასხვა პარტიები ერთი  
მეორეს ამტყუნებენ, არა შენმა შეცდომებმა. გამო-  
იწვია საქმის წაგება, არა შენმა შეცთომებმათ, ამ  
ერთმანეთის მტყუნებაში საშინელი ტრალიზმია:  
არავის არ უნდა, კეშმარიტებას პირდაპირ შეხედოს,  
რადგანაც ეს კეშმარიტება მეტათ მწარება; არავის  
არ უნდა ირწმუნოს, რომ საქმე თვით რუსის  
ხალხმა წააგო და ყველა ეძებს წარმავალ, შემთხ-  
ვევითი ხასიათის მიზეზებს. ზოგი იმიტომ იქცევა  
ესე, რომ იმედების დამცირება არ უნდა; ზოგიც  
იმიტომ რომ რუსის ხალხს არიცნობს. განა, ის  
რუსები, რომლებიც ვიბორგის მოწოდებას ხელს  
აწერდენ, რუსის ხალხს იცნოვდენ? არა და ათასჯერ  
არა. თუ იცნობდნენ, ამ მოწოდებასაც არ დასწე-

რდენ; თუ იცნობდნენ და მაინც დასწერეს, აქაც  
საშინელი ტრალიზმია, ტრალიზმი იმაღამიანებისა,  
რომლებმაც სინამდვილეში ყოველივე იმედები  
დაჭკარვეს და ილლიუზიებში ეძებენ ჰანგს აშფოთე-  
ბული სულის მისაძინებლათ; მკვნესარ გულის  
მისაყუჩებლათ.

რუსეთის ხალხის მთელი ისტორია ამტკიცებს,  
რომ პოლიტიკური და სოციალური განავითარება  
და რუსის ხალხის ბუნება ერთმანეთს არ ეწყობა.  
მარტო რუსის ხალხი კი არ არის ამგვარის ბუნების;  
მთელი მოდგმა სლავიანთა ამ თვისების არის,— მა-  
ლალი პოლიტიკური განვითარება მას არ ეხერხება.

ყოველ ხალხსა ჰყავს ისეთი მთავრობა, როგ-  
ორის ლირსიც ის არის, როგორიც იმის ხასიათს,  
იმის ბუნებას, იმის ფსიხოლოგიას შეეფერება. ეს  
უტყუარი ჭეშმარიტებაა.

ბატონყმობა ბევრგან იყო, მაგრამ იმდენათ  
მკაცრი, იმდენათ სასტიკი, როგორც რუსეთში, მე  
არა მგონია, რომ სადმე ყოფილიყოს. მერე რა  
წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ხალხმა? არავით-  
არა.

პუგაჩოვი, რაზინი—ესენი ოევოლუციის მეთ-  
აურები კი არ არიან, არამედ ბუნტისა.

თუ სხვაგან ბატონყმობის მოსპობა შედეგი  
იყო ხალხის ბრძოლისა, რუსეთში ბატონყმობის  
მოსპობა მხოლოდ წყალობა იყო მეფისა, სხვა  
არაფერი.

ხშირათ გამიგონია, რომ არ მოეცათ, ხალხი თვითონ წაიღებდათ და უმჯობესიც — იქნებათ.

შემცდარი აზრია. ხალხი ვერაფერს ვერ წაიღებდა, რადგანაც არც ფიქრობდა სრულებით რისამე წაღებას. რუსეთის ფინანსების გაუმჯობესობა ითხოვდა ბატონყმობის მოსპობას და მეფეს რომ არ ეწყალობებია, მე დარწმუნებული ვარ, რომ დღემდე იქნებოდა რუსეთში ბატონყმობა. რუსის ხალხმა მხოლოდ წყალობის მიღება იცის და არა რისიმე მოპოება.

ღატაკებს და მონებს თავის თავათ არასოდეს არაფერი არ მოუპოებიათ.

მონობა — აი ნიაღაგი რუსეთის ისტორიის; ბუნტი და რეაქცია, რეაქცია და ბუნტი — აი შინაარსი ამ ისტორიისა”.

ჩვენ ვგონებთ რომ, გომართელის სიტყვებს კომენტარიები არ ეჭირვება. ცხადათ და აშკარად სჩანს, რომ ბ. გომართელი დიდად გატაცებული იყო 1905 წელში და ყველას აიმედებდა, რომ რევოლიუციამ უკვე გაიტანა თავის საქმეო. მხოლოდ მეხუთე წლის შემდეგ მამხვდარა, რომ რუსეთში რეოლიუცია სრულებით არ ყოფილა .. რაუნდა უთხრა კაცმა ამისთანა პუბლიცისტს? ეს თქვენთვის მომინდვია მკითხველო.

ბ. გომართელს და მის კამპანიას კიდევ უმცირესი შეცდომები აქვთ ჩადენილი.

რუსეთში განთავისუფლებულ გლეხებს მთავ-  
რობამ ადგილები გამოაყიდვინა ხაზინის ფულის  
დახმარებით. ისინი, იხდიდენ მცირეს თავნის სესხის  
და სარგებლის დასაწვავად. ბოლოს მთელი მამუ-  
ლის მესაკუთრედ გახდნ ენ. ჩვენში, კი დროებით  
ვალდებული გლეხები კარგა. გადასახადს იხდიან  
მაგრამ სანადელო ადგილები ბატონების საკუთრე-  
ბად რჩება. ჩვენში მაინც დიდი მამულები შეიყი-  
დეს გლეხებმა მთავრობის დაუხმარებლად. ჩვენმა  
რეფორმატორებმა და „გამჭრიახვ პუბლიკისტებმა“  
გლეხებს გამოუცხადეს, რომ უფულოდ დაგრჩებათ  
მათ სახელმწიფო, საეკკლესიო, და თავად აზნაურ-  
თა მამულებიო. მათაც დაანებეს თავი მამულების  
ყიდვას. თავად აზნაურებმაც ბევრმა შეატოვა ბანკს.  
მამულები და ზოგმა სახელმწიფო ბანკს დაუგირავა:  
ისინიც ფიქრობდენ: რადგან ადგილები არ გვექ-  
ნება ალბად ჩვენც მოგვცემენ სახელმწიფო ადგი-  
ლებსო..

თავის ცოდვებს და შეცდომას ასე განაქიქებს  
ბ. გომართელი „ფონის“ მე 12 ნომერში:

„როცა ჩვენში მოძრაობა ძლიერი იყო, ბევრს  
გვწამდა ადგილ-მამულის კონფისკაცია მშრომელთა  
სასარგებლოთ. ამგვარი რწმენის დრომ მაღლე გან-  
ვლო და ხელში დაგვრჩა, მწარე სინამდვილე. წარ-  
მოიდგინეთ ახლა ჩვენი კრიტიკული მდგომარეობა:  
გლეხებს ვურჩევდით, ნუ ჟიდულობთ ადგილ-მამ-

ულებს, უსასყიდლოთ დაგრჩებათო; გლეხებს-კი არაფერი არ დარჩათ და აბლი ჩვენ თვითონ გვერცხვინება, როგორლა ვურჩიოთ გლეხებს, იყ-დეთო, როცა გუშინ ვურჩევდით: ნუ იყიდით, ისე დაგრჩებათო“.

არ ასრულდა ის, რისი იმედიცა გვქონდა. დღეს-კი ყოველ სოფელში, ყოველ დღი შარაზე უნდა ვყვიროდეთ: გლეხებო, ნუ გაუშვებთ ჩვენს მიწას ხელიდან, წელებზე ფეხი დაიდგით და იყიდ-ეთო“.

რაღა დროა! ვინ იყო ისეთი რეგვენი, რომ ის არ ცოდნოდა, გარდა თქვენ და თქვენი კომპა-ნიისა, რომ ადგილების კონფისკაცია არ მოხდებო-და! დაგვისახელეთ ერთი რომელიმე ევროპის სახელმწიფო, საღაც ეს კონფისკაცია მოხდენილო-ყოს. რატომ უნდა იყოს კაცი ისეთი რეგვენი, რომ მოელოდეს იმის ასრულებას ჩვენში, რაც არ მოხდენილა უფრო ბევრად განათლებულ სახელ-მწიფოებში? როცა ცხინვალი, ჭიათურა და ყვირი-ლა დაიჭირეს ჩვენმა „რეფორმატორებმა“, ფეხი აღარ უდგათ მიწაზე და ნიადაგ იძახოდენ: გავიძარ-ჯვეთო, მაგრამ განა ამ სამი საცოდავი დაბის და-ჭირა იყო გამარჯვების ნიშანი?! იქმნება ღმერთმა ქმნას ამის შემდეგ მაინც ისწავლოთ ჭიუა და თავი დაანებოთ მეტიჩრობას.. .

„ფონის“ გაზეთის მე 11 ნომერში განაგრ-

ძმბს ბ. ივანე გომართელი: ტერიტორია ვკეც-  
ლება ხელიდან და ვიღუპებით. დღეს ჩვენში საშიც-  
ნელი სივიწროეა და ასი წლის შემდეგ ათი მილი-  
ონი მაინც იქნება ქართველობა თუ მეტი არა და  
დღეს თუ არ გვყოფნის ის მიწა, რაც ჯერ ხელთ  
გვაქვს, მაშინ სადღა უნდა დავეტიოთ?..

„ურიებს და სომხებს შეუძლიათ იცხოვრონ  
უტერიტორიოთ და ამავე დროს თავისი ეროვნული  
სახე არ დაჰკარგონ. იდეა ერთეულისა, აზრი — რომ  
ისინი ერთ ერს წარმოადგენენ, ეროვნული ეგო-  
იზმი მათ ძვალ რბილში აქვთ გამჯდარი და მემკ-  
ვიდრეობით სულიერს თვისებათ გადაქცეული. მათ  
უტერიტორიოთაც შეუძლიათ თავისი ორსებობა  
დაიცვან, რადგანაც ეროვნული ეგოიზმი მაშინ  
ყოველ გრძნობას — კარგსაც და ავსაც — სჭარბობს.  
ჩვენ კი ამ ერთეულის იდეას, ამ ეროვნულ ეგოიზმს  
მოკლებული ვართ. როდესაც კითხვა ჩვენს ერს, ჩვენს  
ეროვნულ საქმეს შეეხებ, ყველა ჩვენგანი მორი-  
დებით, მოკრძალებით, გაუბედავათ ვიქცევით, თი-  
თქოს გვეშინია, მეზობლებს არ ვაწყენინოთ ან  
ნაციანალისტობა არავინ დაგვწამოსო“.

„მეტყვიან, ისტორიულმა პირობებმა განავი-  
თარა ებრაელებში და სომხებში ის თვისებანი,  
რომელთა წყალობითაც მათ თავისი სახე არ დაჰ-  
კარგეს და ქართველი ერიც რომ იმგვარსავე პირო-  
ბებში ჩავარდეს, გარეშე პირობები და ბრძოლა

არსებობისათვის ძალა უნებურათ განავითარებს  
მასში იმ გვარსავე პირობებსო. შესაძლებელია,  
მაგრამ სანამ ეს პროცესი დამთავრდებოდეს, სა  
ნამ ქართველი ხალხის ბუნება გარდიქმნებოდეს,  
მანამ ის მოისპობა, რადგანაც ამ მხრივ ის ველა-  
რავის ველარ ვაუწევს მეტოქობას.“

„აი ამიტომ ჩვენი ტერიტორია ჩვენი ერთ  
ვნების ბოძია, ჩვენი მიწა წყლის ყოველი გოჯი  
ჩვენთვის დაუფასებელია“.

ერთ დროს ბ. გომართელი იმას ქადაგებდა,  
რომ როცა ხალხი გაპროლეტარიატდება მაშინ  
მიაღწევს ბეჭნიერ ცხოვრებასო. თუ ასეა საშიშო  
არ ყოფილა, რომ ხალხი გაღატაკდეს და აღარა-  
ფერი არ გააჩნდეს!? და ეს ერთ დროს თქვენგან  
სანატრელი დროც მალე დადგება! ტერიტორია არა  
აქვს ურიებს და სომხებსო, სწერს ბ. გომართელი  
მაგრამ იმათში ძლიერ არის განვითარებული, ის  
თვისებანი, რომელთა წყალობითაც მათ თავისი  
სახე არ დაჰკარგეს და შრომობა არსებობისათვის  
განაგრძეს. სცდებით, ბ. გომართელო, ურიების და  
სომხების შესახებ შეჯელობაში. ამ ხალხს ამხნე-  
ვებს და ისინი არ აიგავენ ამ ქვეყნის პირიდან  
და არც აიგავებიან სულ სხვა უფრო რამეთი, ეს  
სხვა რამე არის სარწმუნოება და მტკაცე კავშირი  
სასულიერო დასაერო წოდებათა შორის.

ამ ხალხს ამხნევებს და ასულდგმულებს სულ  
სხვა რამე და არა ის რასაც თქვენ ფიქრობთ? ეს  
ხალხები არ აიგავენ და არც აიგავებიან დედა მი-  
წიდან თუ მათ შერჩათ ის რაც დღემდის იცავდა  
მათ და ხელს უწყობდა ისტორიულად მათი არსე-  
ბობის გაგრძელებას — სარწმუნოება და გონებითი  
განვითარება. სარწმუნოება, ზნეობა და მასთან  
გონებითი გამჭრიახობა არის დამცველი ყოველი  
ხალხისა ხრწნილებისა და ვაჭრობისაგან და არა  
მარტო მისი ტერიტორიის შერჩენა. რასაკვირვე-  
ლია, ტერიტორიის შერჩენა დიდი საქმეა, მაგრამ  
როგორ შერჩება ხალხს ტერიტორია თუ ნიადაგ მას  
ფიქრობს, რომ მთელი მამული დააკირავოს ბანკებში  
და აღებული ფულით ყოველ დღე იქეიფოს. სარ-  
წმუნოება ზნეობა ეკლესიები და სამღვდელოება  
ხომ სულ ხალხის კეუილდღეობის დამამხობლად  
მიაჩნდათ ჩვენ რეფორმატორებს!.. ნათქვამია რე-  
გვენი საქმეს წაახდენს და ფათარაკს დააბრალებსო.  
ჩვენმა „რეფორმატორებმა“ თავის რეგვნობით საქმე  
წაახდინეს და სამღვდელოებას და ეკლესიებს და  
აბრალეს, რომ კანსტიტუცია არ მიეცათ. ამისა-  
თვის ხალხს ურჩევდენ ეკლესიების დაწვას და  
სამღვდელოების ამოქლეტას!?

შეიძლება ბ. გომართელმა და მისმა კამპანიამ  
გვითხრას: ჩვენ როგორც კაცი გამოცდილება არ  
გვქონდა, შევსცით, მაგრამ ამის შემდეგ აღარ

შევცდებითო. მაგრამ ეს თავის გამართლება არ  
იქნება. დიდ მეცნიერად მოგაქვსთ თავი და უვრო-  
პის სახელმწიფოების ისტორიის. არა გაგევებათ რა.  
რეგვენი უნდა იყოს ის კაცი, რომელმანაც არ  
იცის რა მოხდა საფრანგეთში, ინგლისში და სხვა  
სახელმწიფოებში? რა ხდებოდა ხალხის მოძრაობის  
დროს? უცოდინარობა ყველა იმისა რაც იქ მოხდა  
არ მიეტევება. კაცს საზოგადოდ, და განსაკუთრე-  
ბით ქართველს, რომელიც მეტად წინდახედულად  
უნდა იქცეოდეს თუ ცოტა რამე უსწავლია...

ღმბ. ღ. ფამბაშიძე.

---

2

B

206

ფასი 10 გან.